

ერთმა მედასავლეთი პრეზიდენტმა მეორე მედასავლეთი პრეზიდენტი არ შეიწყალა და დატოვა ივანიშვილის რუსული რეჟიმის ტყვეობაშიო!.. ③



პრეზიდენტები: ერთი დაპატიმრებული და მეორე უარყოფილი



„გორობა, რომელს გეგონა, რომ შეგჩა, შენი შვილების გზაზე დატოვებული ყოფიარა.“

როინ მეტრეველი:

სხვაობა 600 წელი




დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი ④

საქართველო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, ისე როგორც ექვსი საუკუნის უმეტესობისთვის რუსეთი, შინაპოლიტიკური ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა.

აფხაზეთი რუსეთის კოლონიად გადაიქცა...



7

ვლადიმერ (ლადო) პაპავა — 70 —

ქართველი ეკონომისტი საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის სამსახურში ⑥



„სირსხვილი და თავის მოჭრა საფეხურთო მოედანზე და მოედნის გარეთ“ ⑩


პარაკლისი ჩვენი დედაეკლესიის ავტოკეფალიის დღეს მიემდგვნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე ზალბა პაპუაშვილთან, აკადემიკოს როინ მეტრეველთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებულ პარაკლისს დაესწრო.

პარაკლისი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხორონყუს მიტროპოლიტმა შიომ სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.

პარაკლისის დასრულების შემდეგ, მეუფე შიომ მრევლს ქადაგებით მიმართა, ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და საზოგადოებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე მიულოცა.



9

რატომ ეგონა ექიმს 78 წლის სუსილია ორსულად?

ჩვენი სულიერი ფასეულობები, ისტორიული მემკვიდრეობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება ერთმანეთისგან განუყოფელია

ირაკლი კობახიძე:



1917 წლის 25 მარტს აღდა საპარტო-ველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. ეს უნიკალური მოვლენა ჩვენი სახელმწიფო-ფორმისა და სულიერი ფასეულობების აღდგენის სიმბოლოდ იქცა, – აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებაში.

მთავრობის მეთაურის თქმით, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ექვთიმე თაყაიშვილისა და მრავალი სხვა მამულიშვილის ძალისხმევით, ეკლესიამ დაიბრუნა თავისუფლება, რაც ერისა და ბერის ერთიანობისა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ქვაკუთხედი გახდა.

„აღსანიშნავია, რომ ჩვენი ავტოკეფალიის ოფიციალურად ცნობა საერთაშორისო დონეზე მხოლოდ 1990 წელს, უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის უდიდესი პირადი ძალისხმევითა და ავტორიტეტის წყალობით მოხერხდა. ამგვარად, საბოლოოდ აღდგა ისტორიული სამართლიანობა და ქართულმა ეკლესიამ მსოფლიო დამოუკიდებელ და თანასწორ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შორის კუთვნილი ადგილი დაიკავა.“

ეს დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ჩვენი სულიერი ფასეულობები, ისტორიული მემკვიდრეობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება ერთმანეთისგან განუყოფელია!“

მიხეილ ყაველაშვილი:



1917 წლის 25 მარტს ქართული სამღვდლო-ეპისკოპოსოს საგანგებო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა – ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, რომელიც სახელმწიფო-სამართლებრივი სფეროს უზენაესი ნიშნის, უნიკალური მემკვიდრეობის აღდგენის სიმბოლოდ იქცა.

ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად, მაშინ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მამულიშვილები – როგორც საერო, ისე სასულიერო პირები იბრძოდნენ, რათა განამტკიცეს ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

თუმცა, მაშინ ეს მხოლოდ ბრძოლის დასაწყისი იყო – მსოფლიო საპატრიარქოს მიერ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ოფიციალური აღიარება 1990 წელს, მისი უწმინდესობისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის უდიდესი ძალისხმევითა და ავტორიტეტით მოხერხდა, რისთვისაც გულითად მადლობას ვუხდით მას.

დღესაც ეკლესია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენს, სულიერი სიმტკიცისა და ეროვნული ერთობის საფუძველს წარმოადგენს.



საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I სიბაღით საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების შესახებ.

ამასთან ერთად, მსოფლიო საპატრიარქო მიიღო მთავარი სიბაღი, რომლის საფუძველზე საქართველოს ეკლესია პატივდებული იქნა საპატრიარქო „ღირსებითა და ალბიშით, როგორც აღრიწხვა იხსენიებულა უკველს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში“. კონსტანტინეპოლი, 1990 წლის 4 მარტი

შალვა კაკუაშვილი:

1917 წლის 25 (12) მარტს სპეცდოკუმენტის საკითხადო ტაქსის ავტორიდან სადღესასწაულო ნიშნავა გამოცხადდა, რომ აღდგენილია 486 წელს მასთან გორგას-ლის მიერ მოქმედებულ და 1811 წელს რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული ავტოკეფალური საეკლესიო მართლმადიდებლობა.

ეს იყო უდიდესი მოვლენა, რომელიც წინ უსწრებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ქართული უნივერსიტეტის გახსნას, სხვა უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, რომლებიც ჩვენი წინაპრების ხელით აღსრულდა.

მიმდინარე წელს ჩვენ დედაეკლესიასთან ერთად ვემზადებით დიდი საეკლესიო და საერო საიუბილეო თარიღისთვის – 2026 წელს ქრისტიანობის საქართველოს სა-



ხელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის აღსანიშნავად. ეს იქნება განსაკუთრებული, არაერთი ღონისძიებით დატვირთული წელიწადი, რომელმაც მთელ ერს და მსოფლიოს უნდა გააგებინოს ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია, ბრძოლით გამოვლილი საუკუნეები, მოხვეჭილი სახელი და დიდება.

ჩვენი კულტურა, ჩვენი თვითმყოფადობა და ჩვენი სახელი, იყო, არის და იქნება ქართული ეკლესიის უმთავრესი საზრუნავი და ასპარეზი. სწორედ ეკლესია გვაძლევს იმ სასიცოცხლო ძალას, რომლითაც იკვებება ქართველი ერი და რომელიც მტკიცედ აღუდამებდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცნობიერებას ყველა დროში.

ავტოკეფალიის აღდგენის დღე, პირველ რიგში, მსურს მიველოცო უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელმაც აღდგენილი ავტოკეფალიის აღიარებისთვის უდიდესი ღვაწლი გასწია.

დღევანდელ დღეს ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მრწამსისა და ეროვნებისა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ისევე როგორც ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ჩვენი სამშობლოს მტკიცე საყრდენია...

„წინ – ბრავიზაისკენ!“ დიდი დილომი-დიღუას 7.5 კმ-იანი ბრავიზის ხაზით დაუკავშირდება!

„თბილისის სატრანსპორტო კორპორაცია“ დიდი დილომი-დიღუას დამაკავშირებელი ტრამვაის ხაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საშენობლო სამუშაოების Design-Build მეთოდით შესრულების მიზნით ბაზრის კვლევას აცხადებს.

მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტს ბოლო ათი წლის განმავლობაში არანაკლებ სამი ტრამვაის ხაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მშენებლობის პროექტი უნდა ჰქონდეს გან-

ხორციელებული. პროექტის განმახორციელებელ კომპანიას 2022-2024 წლებში არანაკლებ 50 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი უნდა ჰქონდეს, ბოლო სამი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს ბარალზე გასული, ხოლო წმინდა ქონება უნდა იყოს დადებითი. შესყიდვის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პროექტის განხორციელების/დასრულების საორიენტაციო ჯამური ვადა 4.5 წელი იქნება. პრეტენდენტმა წინადადება 2025 წლის 23 აპრილამდე უნდა წარადგინოს.


როგორი იქნება დიდი დილომი-დიღუას ტრამვაის ხაზი? ტრამვაის ხაზი დიდი დიღუის მე-3 და მე-4 მიკრო რაიონების კვე-

თის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება, დავით აღმაშენებლის ხეივანის და დიღუის მასივის გავლით კი მეტროსადგურ დიღუის მიმდე-



ბარე ტერიტორიას დაუკავშირდება. „ტრამვაის ხაზის დაიშნულება იქნება დიდი დიღუის მეტროპოლიტენის ხაზთან მიმმა და ამით ქალაქის ცენტრთან სწრაფი დაკავშირება“, – ვკითხულობთ დოკუმენტებში.

ტრამვაის ხაზის სიგრძე 7.5 კმ. იქნება, ტრამვაის შემადგენლობა – 10, ხოლო გაჩერებების რაოდენობა – 11. ამასთანავე, ირკვევა, რომ ტრამვაის ერთი ვაგონი არანაკლებ 300 მგზავრს გადაიყვანს.



პრეზიდენტები: ერთი დაპატიმრებული და მეორე უარყოფილი

სახელმწიფო მდიარი ნოდარ ღმრ-
ბაძე გვამცხვავს, რომ „ღირსება პრე-
ზიდენტი არ არის, ვინაიდან გაგზავნილი ან
ჩაგვყავს, ის სულიერი სამოსელი...
დღევანდელი მერ იქნება ღირსეუ-
ლი ან უღირსი. ღირსეული ან საგულ-
ბოლ ხარ, ან არასდროს“...

ეცსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილს, რომე-
ლიც მუდამ აუტორიტეტული იყო, არასოდეს ამ-
კომბდა სულიერი სამოსელი – ღირსება, ეს დი-
დი ხანია ვიცით, ამიტომაც მიესაჯა ნ-წლიანი პა-
ტიმრობა.

ამჯერად კიდევ ერთ საქმეზე – დიდი რაო-
დენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის საქ-
მეზე დაუდგინეს სასჯელი 9 წლის მოხდით.

სასამართლომ ამავე საქმეზე ბრალდებულ
თეიმურაზ ჯანაშიას, სახელმწიფო დაცვის სპე-
ციალური სამსახურის ყოფილი უფროსი, – ჯარიმა
დააკისრა 300 000 ლარის ოდენობით.

დაცვის მხარე, ანუ პარტია „ნაციონალური
მოძრაობა“ და ოპოზიციური ჯგუფები, – ამ საქ-
მეს და გადანაცვებულებას პოლიტიკურად მო-
ტივირებულად მიიჩნევს, იმისათვის, თუ სააკაშვილმა
გაფლანგა და დასაჯარა, ივანიშვილი ჩამოსახ-
რჩობა იმდენი გაფლანგვა. ივანიშვილმა სა-
კუთარი თანხები „გაფლანგა“, ამიტომ უნდა ჩა-
მოახრჩონ?

სომ ამსურდია?

თქვე ავსაბავრო, გვახსოვს ერთ-ერთი
„ნაცი“ პარლამენტის წინ განთავს-
დავალდი ტრიბუნაზე ტყვეობა ღირსეუ-
ლად დაგვიტოვა რომ იმპერატორმა, „დავას
გიტყვევო“, „დავას გიტყვევო“...

ის მაგინებელი, სააკაშვილის უბეში გამოზ-
რდილი, მასავით სულიერ სამოსელგაცლილი
ავანტიურისტია. თუმცა პასუხი ჯერ არავის მო-
უთხოვია სახალხო შექარაზე.

მოსამართლე კოლმამაზიშვილი განაჩენის
სარგოლოუიო ნაწილის წაკითხვამდე არ და-
ეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას, თითქოს
ბრალდებამი ნახსენები ხარჯები „იყო პირადი
ხარჯები“. „როდესაც საქმეში წარმოდგენილია
ასეულობით ათასი ლარის მოხმარება კონსტე-
ლოგიური მომსახურებისათვის, რაც ჩატარებუ-
ლია საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში, ამ
ხარჯების დაკავშირება ოკუპირებული ტერიტო-
რიების არალიბერაციის პოლიტიკასთან, შეუძლე-
ბელია. ასევე „საქმეში წარმოდგენილია, მაგა-
ლითად, იმდროინდელი პრეზიდენტის შვილების
სწავლების საფასურის გადახდის დამადასტურე-
ბელი დოკუმენტაცია, რაც ბიუჯეტს დაუჯდა 60
000 ლარამდე. ეს ხარჯიც ვერ ჩაითვლება ქვეყ-
ნის ინტერესებისთვის გაღებულ ხარჯად“.

საკაშვილმა „9-წლიანი პატიმრობა“ გაინა-
და. ამ საქმეს მედიაში ხშირად „პიჯაკების საქ-
მეს“ უწოდებენ, თუმცა რაც არ უნდა შეარქვან,
ყოველგვარ ზღვარს გადასული პრეზიდენტი სა-
აკაშვილი დიდი ხანი მართლაც უნდა იჯდეს ცი-
ხეში და ხეხავდეს ნარს, და არ ისვენებდეს „ვი-
გამედის“ კლინიკაში. ეს ჩემი პიროვნული მო-

საზრება არ გახლავთ, საყოველთაო მოთხოვ-
ნაა.

დიდმა მოაზროვნემ ვოლტერმა ბრძანა: „გო-
რბოება, რომელიც გვმონა, რომ გვმონა,
შენი შვილების გზაზე დატოვებული ყუბ-
ბარაა.“

და აი, გასკდა ეს ყუბმარა.
ჩაღენილი დანაშაულის ამბოდ ამართლებენ
პარლამენტის წინ რამდენიმე თვითიანი საპროტეს-
ტო გამოსვლების მონაწილეები. არ მუშაობს ცალბ-
დემოკრატიას ამოფარება. არც რუსეთის მომ-
ხრების მტკიცებას აქვს მყარი საყრდენი.

დგანან, დგანან პარლამენტთან და ამით რა-
იმე სასარგებლო ქვეყნისთვის კეთდება? არა,
რასაკვირველია. მოლოდინი და მოლოდინი, ეს არაფ-
რის მომხმარებელი გამოსვლები როგორც კი დასრულ-
დება, იქ ნაკურთხი წყალი უნდა მოვასხუროთ
და განვწმინდოთ ემბალიზაცია.

დარწმუნებული ვიყავი, დადგებოდა დრო ნა-
ციონალ-რადიკალები სხვა პანგზე აჟღერტულ-
დებოდნენ. ხელისუფლების ვაი მოტრფიალე-
ნი ქვეშ დაუშენდნენ ერთერთს.

პა, მატონებო, ნახეთ!

ლეგან ხაზიშვილი ხმამაღლა აცხადებს, რომ
„არ ვიცი, რას საუბრობს სალომე ზურაბიშვილი,
არ მაინტერესებს, ეს ადამიანი, აღარ არის პრე-
ზიდენტი“ – „ერთადერთი საკითხი შეიძლება იყოს
პრობლემური დღეს, ეს არის კოორდინირება
პოლიტიკოსებსა და ქართველ ხალხს შორის –
არ მაინტერესებს სალომე ზურაბიშვილი, სურ-
ვილი არ მაქვს, რომ შევადგასო“.

საბიუჯეტოების მოსაზრებით, „ზურაბიშვილი
ვალდებული იყო, რუსული ავენტურის მიერ გა-
სამართლებული პრეზიდენტი ციხეში არ ჩაეტო-
ვებინა“.

შურაბიშვილის შვიტხვარა ასე პა-
სუბოვს ნახევრის ყოფილი თავმჯდომე-
რე: „მე არ ვიცი, რას საუბრობს სალომე
ზურაბიშვილი. დიდი ინტერესი არ
მაქვს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან-
ია ქართული ხალხის დამოკიდებუ-
ლება ამ ხელისუფლების მიმართ. ძა-
ლას უნდა დავუპირისპიროთ ძალა, კო-
რდინირება უნდა ვიმუშაოთ ქარ-
თველ ხალხთან. რაც შეეძლება კოლი-
ტიკოსებს, მნიშვნელოვანია, საკუთარ-
ი ფუნქციის, იმისა საგარეო მიმართუ-
ლებით იკოვრონ, ძალიან გვჭირდება
და კარგია, ასევე, კოორდინირე-
ბა უნდა იყოს ქართული ხალხთან რე-
შიშის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ცხადზე უცხადესია, „ნაციონალური მოძრაო-
ბასა“ და პრეზიდენტი ზურაბიშვილს შორის გაღა-
ულახავ ბარიერად დარჩება ის, რომ მან პრე-
ზიდენტი სააკაშვილის შეწყალების გადანაცვეტი-
ლება არ მიიღო – ამ ფაქტს ისტორია შეაფასებს,
როგორც ერთი მუდასაველეთე პრეზიდენტი, რო-
მელმაც მეორე მუდასაველეთე პრეზიდენტი არ
შეიწყალა და მისი ხელით დატოვა ივანიშვილის
რუსული რეჟიმის ტყვეობაში. – ამის შესახებ „ერ-

ერთმა
მედასავლეთი
პრეზიდენტმა
მეორე
მედასავლეთი
პრეზიდენტი
არ შეიწყალა
და დატოვა
ივანიშვილის
რუსული
რეჟიმის
ტყვეობაში!..

ბოროტება, რომლის გავრცელება, რომ გვმონა,
შენი შვილების გზაზე დატოვებული ყუბმარაა.

შურაბიშვილი



თიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდო-
მარემ თინა ბოკუჩავამ ჟურნალისტებთან განა-
ცხადა.

„მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება სა-
ლომე ზურაბიშვილის მხრიდან ძალიან მნიშვნე-
ლოვანი განაცხადი იქნებოდა“, დაამატა მან.

თინა ბოკუჩავას სხვა გეგმები აქვს. მისი თქმით
„31 მარტი ერთგვარ ბოლო ვადად უნდა განი-
საზღვროს, რადგან თუ ერთობა მართლაც ეფე-
მერული და უტოპურია, მაშინ უნდა დასრულ-
დეს „ცალბი საუბარი“ – ყველა პარტიამ საკუთარი
შესაძლებლობის ფარგლებში იმოქმედოს.“

„მეზუდავად იმისა, რომ ჩვენ უპი-
დურეს უსამართლოდ მიგვაჩინა სა-
ლომე ზურაბიშვილის მხრიდან მესა-
ვე პრეზიდენტის არაფერაფერის გაღა-
წყვითლება, – ამოვს იმდროს გაკოტ-
რებული გოგონა, – თავად პრეზიდენტი
საკაშვილის თხოვნა იყო მისი მხარ-
დაგვიჩვენოს და „ნაციონალური მოძრა-
ობის მიმართ, რომ ჩვენ ყველა ფორ-
მაც, რომელიც ოპოზიციის ერთი-
ნოვას ვახსენებ, მონაწილეობა მი-
ვიღო. თუმცა აქამდე გადანაცვითლება
არ უნდა იქნას მიღებული, იმედ მაქვს,
რომ 31 მარტი იქნება ამის შესაძლებ-
ლობა და ეს ერთგვარ ბოლო ვადად
უნდა განვსაზღვროთ, რადგან თუ ეს
ერთობა მართლაც ეფემერული, არა-
ნაქალაქისა და უტოპურია, მაშინ უნ-
და დაგვარდნა ერთი ყალბი საუბარი ად-
ნოვულზე და ყველა პარტიამ საკუთარი
შესაძლებლობის ფარგლებში იმოქმე-
დოს ივანიშვილის რეჟიმის დასაბარ-
ცხადებად.“

უსუსურ, ჩიხში მოქცეულ ბოკუჩავა-ხაზიშ-
ვილის გათავისუფლების პოვნა სურთ, მაგრამ ჯერ არ
იციან, რა მოიმოქმედონ, ამიტომ თოკით ჰაერში
ჩამოკიდებულ სალომე ზურაბიშვილზე იმეტებენ
მოლოტს.

ამასობაში მსოფლიოსა და ევროპაში რა-
დიკალური ძვრები მიდის. უნგრეთის პრეზიდენტი
ორბანი საინტერესო წინადადებებს უყენებს ევ-
როკავშირს:

„ჩვენ ვითხოვთ თანასწორობას კა-
ნონის წინაშე ყველა წევრი სახელმწი-
ფოსთვის; დაუზრუნდეთ წევრ-სახელ-
მწიფოებს უპაწოლო ჩამოტეხილი
კოორდინაციის აღდგენა; ვითხოვთ ნა-
ციონალურ სუვერენიტეტს და ძლიერი
წევრის უფლებას ერთგვარი მთავრო-
ბებისთვის“

„ევროკავშირისგან უნდა მოხდეს სო-
როსის აგანგებობის, ხოლო ევროკავშირ-
ისგან უნდა მოხდეს კოორდინირებული ღონისძი-
ებების განდგენა; შევედით ჩვენს შვილიშ-
ვილების მომავლის „დაგინაგვას“ და
მოახდინოთ ევროკავშირის ვალდებუ-
ლებების დაკმაყოფილება“.

და მევრი სხვა საჭირობოტო საკითხს შე-
ეხო.

თვითმარქვია სალომე გრძნობს, ჩიხში მო-
ექცა. როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საერთაშო-
რისო მოვლენები მის სასარგებლოდ არ ჭრის
და კერავს. ამერიკის ხელისუფლებამ (ვიცე-პრე-
ზიდენტი ჯეი ბიდენი ხმამაღლა ამბობს: „ევროპა
ცივილიზაციური თვითმკვლელობების წინაშეა“.
ამიტომ უკვე ვერ დარბის ევროპაში. ვერ ჯაშუ-
შობს ქვეყანას ისე, როგორც თავად სურს.

როგორც იტყვიან, კოვში ნაცარში ჩაუვარ-
და.

ავონიში მყოფი საქართველოს მეხუთე პრე-
ზიდენტი რეგიონულ მაუწყებელთა „ალიანსთან“
ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი „მიზანი ოპო-
ზიციის გაერთიანება არასოდეს არ ყოფილა“. მი-
სი თქმით, ამზადებს „ძლიერ კოორდინაციას“.
„მე ვამზადებ, და ვარ საკმაოდ ოპტიმისტიური ამ
მიმართულებით, ძლიერ კოორდინაციას. ძლი-
ერი კოორდინაცია არის ის, რაც უძლევს ყვე-
ლაფერს და ცალბი გაერთიანება არის ყველა-
ზე მოწყვლადი. უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა რე-
ალურად, გვინდა ძლიერი კოორდინაცია არა-
ხოლოდ პოლიტიკური პარტიების, ასევე ამ სა-
ზოგადოების, რომელიც არის წამყვანი ამ პრო-
ტესტში დღეს და რომელსაც უნდა ჰქონდეს თა-
ვისი ადგილი ამ კოორდინაციაში“

ბრინჯივით დაზნეულია.

მის საყრდენ ევროპულ ლიბერა-
ლიზმს წყალი შეუდგა. ასე რომ, წვი-
მამო მოხვედრილი ატაბივით ფართხა-
ლებს. მისი ლიბერალიზმის წინაშე მის წა-
ლად უნდა. ამერიკის ელჩი დანიგანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მი-
ნისტრს მოგვითხრობს მასალა. ცხადია,
მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტა-
მენტთან დაკავშირებით, საქართველოს ხე-
ლისუფლებასთან კოორდინაცია განაახ-
ლოს და ურთიერთობა მოაწესრიგოს,
რაც ტრადიციის აღმშენებლობის მხრი-
დან საქართველოს ხელისუფლების
ლემბიტობას ემხრობა.

აი, ასეა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი
ქვეყნის მართალ ხმას მალე მსოფლიო
გაიგებს და მემორანდუმს გაგვიმარა-
დებ. არა, არ გამოვა დრომოგვლი
და გაკოტრებული ყოფილი ხელისუფ-
ლების მოგვრება. დღეს ნამდვილი
დემოკრატიის სიო ქრის მსოფლიოში.



ბორის
დავითაია,
სამეგრელო
შხუხუხი საბჭოს
გამგზავის წევრი.
სეპაპი.



როინ
მატრეველი

სსპოტობა 600 წელი

დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი

დავითი იყო „შუანიარ ხატიოთა, შუანიარს მორთულობითა ბუაიისათა, შაფოგილ ანაბაბითა და ასოვან ტანითა, ძლიარ ქალითა, უძლიარს სიმახვილითა, საწადალ ღიმილითა, უსაწადალს მჭმუნვარებითა, მაღლიარი ხადვითა, საზარალი ლომაზარ მკრთომალოვითა, ბრძენ სნოვითა, უბრძენს გამორჩევიითა, მარტვი სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლებლობითა...“

ბარაბნოვა, ხასიოთი

ორომე პირველად, დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს თანამედროვენი აგვიწერენ, როგორც ახლანდელ აგებულებისა და კეთილი მესახელობის მამაკაცებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი წერის ობიექტს მთელი სისრულით აღწერს, წარმოგვიდგენს როგორც დიდი ფიზიკური ძალის მქონე ძლიერ პიროვნებას, ძლიერს ხასიათითაც. დავითი იყო „შუანიარ ხატიოთა, შუანიარს მორთულობითა ბუაიისათა, შაფოგილ ანაბაბითა და ასოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადალ ღიმილითა, უსაწადალს მჭმუნვარებითა, მაღლიერი ხედვითა, საზარელი ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძენს გამორჩევიითა, მარტვი სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლებლობითა...“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 307). ასევე საინტერესოა გელათის ფრესკა დავითის პორტრეტით: ახლანდელ მამაკაცს „უშვენიერეს მორთულობითა ბუამისათა, შუანიარს მორთულობითა, შაფოგილ ანაბაბითა“, ხელში ტაძრის მკვეთი უჭირავს. ამდაგვარად ჰყავთ წარმოსახული დავითი თანამედროვეებს.

პეტრე პირველის აღნაგობის შესახებ ცნობები უხვად არის დაცული თანამედროვეთა (მათ შორის უცხოელთა) მოგონებებში. ჯერ კიდევ სრულიად ყრმა პეტრე აღწერა შვედეთის საელჩოს მდივანმა 1683 წლის ერთ-ერთი მიღების დროს: «Лицо у него открытое, красивое, молодая кровь играла в нем, как только обращались к нему с речью».

თერთმეტი წლის პეტრე თავისი სიმაღლითა და განვითარებით 16 წლის ჯაბუკის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ჰოლანდიაში მიმავალი პეტრე პირველი შეხვდა ბრანდენბურგის კურფიურსტის მეუღლეს სოფია შარლოტას და მის დედას. დედა-შვილმა დავიტიანობა პეტრე

გაბრკალება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №42-43



ერნუხის ბრძოლა

არა თუ ვითარცა სხვა ვინმე ზურბით უღბა ოდეს სპათა თვსთა, ანუ შორით უზახვდა... არამედ უპირაბეს ყოველთასა თვთ წინა უპიძოდა, და ვითა ლომი, უუზახვდა ხითა მაღლითა, და ვითა ბრიგალი მიდამო იყსაოდა“

რეს საინტერესო აღწერილობა (იგი ამ დროს 25 წლისა იყო), («Царь очень высокого роста, лицо его очень красиво, он очень строен»).

აი კიდევ ერთი თანამედროვეს მიერ აღწერილი მეფის პორტრეტი: «Царь Петр Алексеевич был высокого роста, скорее худощавый, чем полный; волосы у него были густые, короткие, темно-каштанового цвета, глаза большие, черные с длинными ресницами, рот хорошей формы, но нижняя губа немного испорченная; выраженные лица прекрасное, с первого взгляда внушающее уважение» (ციტირებული გვაქვს ნ. პავლენკოს წიგნიდან «Петр Первый», 1976, გვ. 58).

როგორც ერთი მეფე, ისე მეორე შრომასა და ბრძოლაში პირად მავალითებს იძლეოდნენ. როცა დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს მეფის საქველმოქმედო საქმიანობაზე, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი გლახაკებს უწყალობებდა ხოლმე „თუსთა ხელითა“ ნამოღვანარს. „და ამას – აღნიშნავს ისტორიკოსი – არა თუ ხელოსანთაგან მორთმეულისა იქმოლის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თვსთა ნადირებულისა. რომელთაგანი თოსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“ („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 337).

რაც შეეხება პეტრე პირველს, მისთვის ხელსაქმე და ხელოსნობა ბავშვობის წლებიდან იყო დიდი გატაცება. კალატოზობა, ღურგლობა, მჭედლობა – პეტრეს ძალზე იტაცებდა ეს დარგები. უკვე სრულწლოვან მეფეს კარგად სცოდნია 12 სახის ხელობა. განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა ცულით მუშაობა და სახარა-

ტო საქმე. პეტრე ამაცობდა კიდევ თავისი შრომით; ბრანდენბურგის კურფიურსტის სოფია შარლოტას დედა იგონებდა: «... Он нам сказал, что сам работает над постройкой кораблей, показав свои руки и заставил потрогать мозоли, образовавшиеся на них от работы».

სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შრომისადმი, დიდმა ფიზიკურმა ძალამ და სიმტკიცემ, ამასთან როგორც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, ისე XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში შექმნილმა საშინაო მდგომარეობამ და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა ერთ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის, ხოლო მეორე შემთხვევაში პეტრე პირველის მოღვაწეობის ხასიათი.

პირველი ღონისძიებები

პირველი პერიოდში დავით აღმაშენებლისა, თუ პეტრე პირველის მეფობისა აღსავსე იყო შინაპოლიტიკური ბრძოლის. საქართველო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, ისე როგორც ეჭვსი საუკუნის შემდეგ დროინდელი რუსეთი, შინაპოლიტიკური ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა.

რა სახის იყო დავით აღმაშენებლის პირველი ღონისძიებები?

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი XI საუკუნის დასასრულის საქართველოს მდგომარეობა და ითვალისწინებდა კიდევ იმ წინააღმდეგობებს, რომელიც სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას წინ ედგებოდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა უნდა მოშენებულიყო და მეფეს გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომები შემოეკრიბა. დავით აღმაშენებელმა ამით დაიწყო: შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. საქართველოს სამეფო კარმა თავი მოუყარა ერთგულ მხედართა რაზმებს და თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს. მეფემ წერილ-წერილი გამარჯვებების წყალობით სელჩუკები თანდათან აპყარა ქართლიდან. ამით კი ქართველ ხალხში გარღვეული დამარცხებისა და საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა; მტრის შიშით მთაში გახიზნულ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის საშუალება მიეცა. ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას, ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

საქართველოს სამეფო კარმა XI საუკუნის ბოლოს შუაპირი ბრძოლა გამოუცხადა მეფისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს.

დავით აღმაშენებელმა შეიპყრო 1193 წელს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ მალაზი. ამ უკანასკნელმა ცოდვები მოინანიდა და მეფეზე გაათავისუფლა იგი, თანაც ფეოდალის ყველა ძველი უფლება შეუცვლელად ცნო. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა – „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწერითა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., გვ. 308). საქართველოს მეფე დარწმუნდა რა, რომ ლიპარიტის მორატულება ისევე არ შეიძლებოდა, „რამეთუ კული ძალისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, კვლავ შეუპყრია და ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გაუძევებია, სადაც გარდაცვლილა კიდევ ეს ქელმალალი ფეოდალი. ამ აქტის შემდეგ კლდეკარის საერისთავომ კიდევ რამდენიმე ხანს იარსება; სათავეში ლიპარიტის ძე რატი ედგა. ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. „კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი“ – ასეთი მწარე სიტყვებით „ამკობს“ ისტორიკოსი კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს.



1103 წელს დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო გააუფლა და საქართველოს სამეფოს შემოუერთა.

კლდეკარის ციხე



თეოდორე ფლის პეტრე თავისი
სიმაღლითა და განვითარებით
16 წლის ჭაბუკის
შთაბეჭდილებას ტოვებდა

* * *
ЦАРЬ ОЧЕНЬ ВЫСОКОГО
РОСТА, ЛИЦО ЕГО
ОЧЕНЬ КРАСИВО,
ОН ОЧЕНЬ СТРОЕН

ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფემ კვლავ ორგულთა იხილა ბაღვაშთა გვარი-დან მომდინარე, მას ისღა დარჩენოდა უკიდურესი ზომისათვის მიემართა. ეს უკიდურესი ზომა საერისთავოს გაუქმება იყო. 1103 წელს დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა და საქართველოს სამეფოს შემოერთა. 1099 წელს საქართველოს მეფემ სელჩუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და ამით სრული დამოუკიდებლობა აღიდგინა.

1104 წელს დავით აღმაშენებელმა ადგილობრივ დიდებულთა აქტიური მხარდაჭერის წყალობით კახეთი და ჭრეთი შემოიერთა. საქართველოს მეფის ასეთი მოქმედება ვერაფრად ეპიტანავა სულთანს, რადგან ჭრეთ-კახეთი მისი მოხარკე იყო და ამ ქვეყნის დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა სასულთნოსთვის. სუსტდებოდა თურქების პოზიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის დიდმოხელე, განძის ათაბაგი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა დავით აღმაშენებლის შესაბრძოლედ და ჭრეთ-კახეთიდან გასადევნად. დავით აღმაშენებელი მომზადებული დაუხვდა მტერს. ბრძოლა გაიმართა ერწუსში (ახლანდელ საინგილოში) 1104 წელს და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა („ერწუსს ქმნა წყობანი დიდნი ხმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“). ისტორიკოსი ალტაცემით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუსის ბრძოლაში: „არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თუსთა, ანუ მორით უზახებდა... არამედ უპირატეს ყოველთას თუთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი, შეუზახებდა ხმითა მალღითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 311-312).

დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა მისი მონაწილემდეგ ფეოდალები – ძაგან და მოღისტოს აბულეთისძეები. ძაგანი დავითის სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონები მისა-მიმართ თვსეშული და მღვიმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი“ მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. ძაგანის გარდაცვალების შემდეგ კი მისი შთამომავლობა ჰპარავდა ყოველგვარ უფლებას ზემოაღნიშნულ ქონებაზე.

ამგვარად, დიდგვარიანი ფეოდალების აღვირახსნილობის ალაგვით, სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტით, ჭრეთ-კახეთის შემოერთებით დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შექმნის ფართო მასშტაბის ღონისძიებების ქმედითი გატარება – ეკონომიური ხასიათისა იქნებოდა, თუ პოლიტიკურისა.

* * *
ავიდა თუ არა სამეფო ტახტზე, პეტრე პირველს მოუხდა ოპოზიციურ კალაშნიკაზე. იგი სრულიად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი იმპერატორისაგან. სი-ახლე ყველა საქმეში, ბრძოლა რუსეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის, – აი რა იყო პეტრე პირველის საზრუნავი. თავგამოდებული ბრძოლა იმისათვის, რომ რუსეთს ჰქონოდა ზღვაზე გასასვლელი, პეტრესთვის პირველ მოთხოვნილებად გადაიქცა.

ევროპის ბევრ ქვეყანაში იმობილურ რუსეთის მეფემ, ეცნობოდა გემთმშენებლობასა თუ სხვა საკითხებს. იგი დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში და ძლიერმა მეფემ მორჩილი თაყვანისცემის გუნებაზე დააყენა ზოიარები. საოცარი ფაქტი მოხდა მეფის რეზიდენციაში – პრეობრაჟენსკოეში, როცა ზოიარები პეტრეს სანახავედ მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ ახლად დაბრუნებულ მეფეს, ამ უკანასკნელმა მაკრატელი მოითხოვა და საკუთარი ხელით მოჰკვეცა ზოიარებს წვერი. პირველი მსხვერპლი ზოიარი შეინი გახდა. წვერს გამოეთხოვა თავადი რომოდანოვსკიც. შემდგომში უკვე ამ მოვალეობას მეფის მასხარა ასრულებდა.

პეტრემ წვერის მოკვეცა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა – მოითხოვა მთელს მოსახლეობას გაეპარსა წვერი. წვერის ტარების უფლება მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის გზით შეიძლებოდა. მდიდარ ვაჭრებს წვერი წელიწადში 100 მანეთი უტდებოდათ, აზნაურობასა და ჩინოვნიკებს – 60 მანეთი, სხვა მოქალაქეები 30 მანეთის იხდიდნენ.

პეტრე პირველმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მისი მონაწილემდეგ სტრუქტურების მოქმედა-დასჯას. სტრუქტურები ჯერ კიდევ პეტრეს საზღვარგარეთ ყოფნის დროს აუწყენდნენ. სტრუქტურთა მიზანი იყო პეტრეს მოკვლა და სოფლის გაშლევება. მაგრამ ისინი მხარედ დამარცხდნენ მეფის ერთგული ლაშქრის მიერ, აჯანყების მოთავეები დაისაჯნენ. პეტრე პირ-



სტრელცთა სიკვდილით დასჯას თვით პეტრე პირველი ემხრობოდა
სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან და უსხოვლ დი პლოგაზებთან
ერთად. მეფის კლიური პიროვნება მთელი სიმაჟნით
წარმოიხსნა თანამედროვეთა წინაშე.

არც კი დამთავრებულა, ისე დაიწყო სტრელცთა დასჯა. მათ გადაუწყვიტეს სიკვდილი, რომოც „მარდებს და მოღალატეებს, ფიქსს გამგებებსა და მოწყვეტებს“. საგულისხმოა, რომ სტრელცთა სიკვდილით დასჯას თვით პეტრე პირველი ემხრობოდა სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან და უსხოვლ დიპლომატებთან ერთად. მეფის კლიური პიროვნება მთელი სიმაჟნით წარმოიხსნა თანამედროვეთა წინაშე. პეტრე პირველმა მოწოდების გზაზეა მოიყვანა აქა-იქ პირ კიდევ არსებული მოწინააღმდეგეები და შემდეგ დიდ რაფორმატორულ საქმიანობას შეუდგა.

შეგნებულა რეაქციული სახელმწიფო არისტოკრატისა. პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, 1104 წლის რუს-რუსების საავლენით კრება იყო – „დიდთა წყალობათა პრეზბიტერებისა და მღვდლებისა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 310). პაუზში გაგრძელების ცნობით დავით აღმაშენებელი კრებას დასწრებითა, მაგრამ იგი ამ ყოფილა „არა მითარცა მეფე, არამედ მითარცა მოწინააღმდეგე“.

კრებამ დავით აღმაშენებლის მომხრეთა ხმა გაატარა: განკვეთა უღრისი სამღვდლო პირები, მათ ნაცვლად ღირსეულები (დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ერთგულები) შეარჩია; განაწესა სასულიერო თანამდებობის დამკავებელთა წლოვანება, დაადგინა ხელდასხმის წესი, აკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩველითა ქალ-ყმათა“, აგრეთვე ზოგი უნესობა, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და სასულიერო პირთა შორის.


როგორც ირკვევა, პირველი ღონისძიებების გატარების შემდეგ ეკლესია-მონასტრები დავით აღმაშენებელს მკაცრ პირობებში ჰყოლია ჩაყენებული. საერთოდ, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში მთელი ეს დიდი საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფო ეკლესიის საზიანო გავლენის წინააღმდეგ. ამიერიდან დიდი ფეოდალები მღვდლებთან ერთად სახით ძლიერ მოკავშირეებს ჰქარავდნენ.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობის გაერთიანებას – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შემოღებას.

მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო და მონაწილეობდა საგანგებო შორს იდგა. სხვა დიდი ფეოდალებისაგან განსხვავებით, ვერ გამოიჩენდა „ხელის“ სამეშველოდ გადაქცევის მიდრეკილებას. მწიგნობართუხუცესი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ იყო ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე.

დავით აღმაშენებელმა სწორედ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შეაერთა ჭყონდიდელობასთან. მეფის ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი, ამავე დროს საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის, ჭყონდიდელობის მატარებელიც გახდა. საქართველოს მეფეს მის მიერ შექმნილი ახალი ხელის მეოხებით შეეძლო ფართოდ ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. საგარეოდა, რომ ეს თანამდებობა რუს-ურბნისის კრების მომდევნო პერიოდში 1104-1105 წლებში დაარსდა. დავითის ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, რომ ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველი ეკლესია წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოველი ეკლესია საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებინა, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოველად შეუნიერსა და დანყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 3361).

(გაბრეკაშვილი გიორგი ნოემრში)



კალაშნიკოვა, დურგლოვა, მჭედლოვა
– პეტრეს კალაშნიკოვა და
დარბაზი. უკვე სრულწლოვან მეფეს
კარგად სძლენია 12 სახის ხელობა.
განსაკუთრებით კარგად
ახარხებოდა ცულის
მუშაობა და სახარბო სიმე.

ველმა გაიგო რა ამ აჯანყების შესახებ, თავად რამოდანოვსკის ვენიდან წერილი გამოუგზავნა: «Min Her Kenih! Письмо твое, юня 17 день писанное, мне от дано, в котором пишешь, ваша милость, что семья Ивана Михайловича растет, в чем прошу быть вас крепкими; а кроме сего ничем сей огонь угасить не можно. Хотя зело нам жаль нынешнего полезного дела, однако сей ради причины будем к вам так, как вы не чаете».

ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ პეტრეს თავისთვის გადაწყვეტილი ჰქონდა სტრელცთა ბედი. მეფის ისინი ადრიდანვე არ მოსდოდა თვალში და უკვე გამარჯვებული ძლიერი პიროვნების ლაგამამოუდებელმა, დაუოკებელმა დესპოტიზმმა უდიდესი რისკი დაატეხა სტრელცთა პოლკებს. პეტრე პირველმა თვითონ აიღო ხელი გამომძიების ხელმძღვანელობა, თუმცა მისთვის ნათელი იყო, რომ «Смерти они достойны и за одну провинность, что забыли воевать и бились против Большого дома».

გამოქმედება დაადასტურა, რომ სოფო ალექსის ასული გარკვეულად იყო დაკავშირებული აჯანყებასთან. პეტრემ თვითონ დაჰკითხა ცხრა წლის უნახავი და, მაგრამ ამ პატივ ვერაშთარი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან უშუალოდ ამხილული საგუთი არ არსებობდა. ძიება ფორმალური ხასიათისა იყო. იგი

საქართველოს მემკვიდრეობითაა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდი-
ვანი, ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკო-
ნომისტი, სახელმწიფო და საზოგადო-
მლოდენე, აკადემიკოსი ვლადიმერ (ლა-
დო) პაპავა 70 წლის გახდა. ის 500-ზე
მეტე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია,
რომელთაგან 40-მდე მონოგრაფია, სა-
ხელმძღვანელო და წიგნია. ვლადიმერ
პაპავას ნაშრომები ქართულ, ინგლი-
სურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ეს-
პანურ, ჩინურ, არაბულ, ჩეხურ, უკრა-
ინულ და აზერბაიჯანულ ენებზეა გამო-
ქვეყნებული საქართველოში, აშშ-ში, კა-
ნადაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთ-
ში, გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში,
ნიდერლანდებში, იტალიაში, საბერძ-
ნეთში, პოლონეთში, ჩინეთში, ავსტრა-
ლიაში, სამხრეთ კორეასა და სხვ.

ლალო პაპავამ 1977 წელს ნარჩინებით და-
ამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი
ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით და
ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია მი-
ენიჭა. საყურადღე-
ბოა, რომ, როცა ალ-
მოსავლეთი ევროპის
ქვეყნებში კომუნის-
ტური რეჟიმი დაინ-
გრა, ხოლო სამჭო-
თა კავშირი ცალკე-
ულ სახელმწიფოებად დაიშალა, დღის წეს-
რიგში დადგა მშრძანებლური ეკონომიკიდან
საზაზროზე გადასვლა. პოსტკომუნისტური ქვეყ-
ნების ეკონომისტებს შორის საზაზრო რეფორ-
მების გასატარებლად ყველაზე უფრო მომზა-
დებული სწორედ ეკონომისტ-მათემატიკოსები
აღმოჩნდნენ, რადგანაც ისინი კვლევებში სწო-
რედ დასავლეთში შექმნილ ეკონომიკურ-მა-
თემატიკურ მოდელზე იყენებდნენ. ვლადი-
მერ პაპავას საკანდიდატო და სადოქტორო დი-
სერტაციები დაფუძნებული იყო ეთნიკურად რუ-
სი, ამერიკელი ეკონომისტის, ეკონომიკაში ნო-
ბელის პრემიის ლაურეატის ვასილი ლეონ-
ტიევის „დანახარჯები-გამომგების მათემატი-
კურ მოდელზე“, რომლებიც სამჭოთა პერი-
ოდში „დარგთაშორის ბალანსის მოდელე-
ბის“ სახელით იყო ცნობილი.

ამ მოდელის შესწავლის საფუძველზე
ვლადიმერ პაპავამ „ნაწილობრივ პროდუქ-
ტიული მატრიკის“ ცნება შემოიღო, რაზე დაყ-
რდნობითაც დანახარჯი-გამომგების გაფარ-
თობეულ და დინამიკურ მოდელთა პროდუქ-
ტიულობის აუცილებელი და საკმარისი პირო-
ბები განისაზღვრა.

აკად. ვლადიმერ პაპავას სამეცნიერო
კვლევის შედეგები მრავალფეროვანია. მის
ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო მიღ-
წევად უნდა ჩაითვალოს იმის დასაბუთება,
რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარ-
მოგების დამოუკიდებელი ფაქტორი, ხოლო
ირიბი გადასახადები მისი შესაბამისი ფაქტო-
რული შემოსავალია. ნიშანდობლივია, რომ
ქართველი მეცნიერის ეს შედეგი ალან გრი-
ფიტის და სტუარტ ვოლის რედაქციით გა-
მოშვებულ „გამოყენებითი ეკონომიკის“ ცნო-
ბილ ბრიტანულ სახელმძღვანელოს არაერთ
გამოცემაში იქნა შესაბამისად ასახული. ეს
ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ვლადიმერ პა-
პავამ, პირველმა ქართველ ეკონომისტთა შო-
რის, საერთაშორისოდ აღიარებული წვლი-
ლი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების თე-
ორიული საფუძვლების განვითარებაში.

ყველაზე მეტი საერთაშორისო აღიარე-
ბა კი აკად. ვლადიმერ პაპავას მის მიერ შექ-
მნილმა „ნეკროეკონომიკის“ თეორიამ მოუ-
ტანა. ეს თეორია პოსტკომუნისტური კაპიტა-
ლიზმის პოლიტიკური ეკონომიის საფუძველს
ქმნის. ნეკროეკონომიკა, თავისი არსით, ამ-
სოლუტურად მოძველებულ ტექნოლოგიებზე
დაფუძნებული „მკვდარი“ სანარმოებია და მი-
უხედავად იმისა, რომ მათ პროდუქციაზე
მოთხოვნა არ არსებობს, მაინც სახელმწიფოს
დახმარებით აკრძალვები ფუნქციონირებს.
2008 წელს, აშშ-ში 2005 წელს გამოცემული
მონოგრაფიისათვის „ნეკროეკონომიკა“ ლა-
დო პაპავას საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიაიშვი-
ლის სახელობის პრემია მიენიჭა. ნეკროეკო-
ნომიკის შესახებ პირველი ინგლისურენოვანი
პუბლიკაცია საქართველოში 2001 წელს გა-
მოვიდა, ხოლო 2002 წელს კი უკვე დიდი ბრი-
ტანეთის ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ ჟურ-
ნალში დაიბეჭდა. საყურადღებოა, რომ ამე-
რიკელმა ეკონომისტმა უორენ მონტაგმა, ისე,
რომ არ მიუთითა მ-ნი ლადოს სხენებული პუბ-
ლიკაციები, ტერმინი „ნეკროეკონომიკა“ სულ
სხვა შინაარსობრივი დატვირთვით გამოიყენა.

მოტლანდიური წარმომავლობის ცნობილმა
ამერიკელმა პროფ. პატრიკ სკოტმა 2016
წელს მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამო-
აქვეყნა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სტა-
ტია, სადაც უორენ მონტაგი სამეცნიერო ეთი-
კის დარღვევაში დაადანაშაულა და ტერმინ
„ნეკროეკონომიკის“ შექმნაში ვლადიმერ პა-
პავას პრიორიტეტულობა აღიარა.

ვლადიმერ პაპავა, ადამიანისული
ფაქტორის როლს ეკონომიკაში, თავის
კვლევებში, განსაკუთრებულ ყურადღე-
ბას უთმობს. მან შემოიღო და დაასა-
ბუთა ეკონომიკაში მოქმედი ადამიანის
ახალი ტიპები: „კომო ტრანსფორმაცი-
კონი“ და „გომი ეკონომიკონი“, რომელ-
თაგან პირველი პოსტკომუნისტური
ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი
ეკონომიკის, ხოლო მეორე გომი-ეკო-
ნომიკის მთავარი შემოქმედი.

ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. კრიზისულ
პერიოდში კი არის საფრთხე, რომ რეტროე-
კონომიკა ნეკროეკონომიკაში გადაიზარდოს.

აკად. ვლადიმერ პაპავა საზაზრო თანასწო-
რობის დოქტრინის ავტორია, რომლის თანახ-
მადაც საზაზრო თანასწორობა შესაძლებელია
მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი ბაზრის,
ანუ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში.
იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი ბა-
ზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონ-
სტრუქციაა, ამიტომ საზაზრო თანასწორობაც
მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი.

თავის ერთ-ერთ საუკეთესო მონაფესთან,
ან განსვენებულ პროფ. ნოდარ ხაღურთან ერ-
თად ლალო პაპავამ ჩამოაყალიბა ე.წ. „ჩრდი-
ლოვანი პოლიტიკონომიის“ საფუძვლები, რო-
მელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციო-
ნირებაში ინსტრუქციური რეფორმების მნიშ-
ვნელობას და ზეგავლენას შეისწავლის.

თავის გამორჩეულ მონაფესთან,
პროფ. მასტანგ ჯარაიასთან ერთად
აკად. ვლადიმერ პაპავამ შემოიღო ინფ-
ლაციის მოდიფიცირებადი მაჩვენებ-
ლები, რომლებიც საკმაოდ სიზუსტით
აღწერენ ფასების ცვლილების დონეებს
განსაკუთრებული კომპლექსიურობით ფორმი-
რებადი სამომხმარებლო კალათების
პირობებში. ამ მაჩვენებლების საფუძ-
ველზე მათ მიერ შემოიღო ინფლაციის
კომპლექსური თარგმთირობის მაჩვენებ-
მი, რომლის გამოყენებაც, უწინარეს
ყოვლისა, იმპორტდამოკიდებული ქვე-
ყნისთვისაა მიზანშეწონილი.

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის
კონტექსტში აკად. ვლადიმერ პაპავამ ე.წ.
„სანქციონომიკის“ თეორიული საფუძვლები
ჩამოაყალიბა, რომლის მიზანია ეკონომი-
კური სანქციების უარყოფითი და დადებითი

ქართველი ეკონომისტი საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის სამსახურში

ლალო პაპავა მკაფიოდ
აყალიბებს პოზიციას
იმის შესახებ, რომ
ეკონომიკაში
განვითარება
არ შეიძლება იყოს
საქართველოს მიზანი.
საქართველოსთვის
მიზანი უნდა
იყოს ეკონომიკის
სახელმწიფო
ჩამოყალიბება და
განვითარება, ხოლო
ეკონომიკაში
განვითარების გზა
კი შეიძლება
განხილულ იქნას
როგორც ამ მიზნის
მიღწევის საშუალება.



აკად. ვლადიმერ პაპავამ შეძლო ლაფე-
რის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდების აგე-
ბა, რომლებიც დროით ფაქტორს ითვალის-
წინებენ და, რომლებიც, პოსტკომუნისტური
ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნების
ეკონომიკას შეესაბამება. მან საფუძველი ჩა-
უყარა ლაფერ-კენზიანური სინთეზის თეორიას,
რომელიც, მოგვიანებით, პროფ. იური ანანი-
აშვილთან ერთად განავითარა, რის საფუძველ-
ზეც საგადასახადო ტერმთის ცვლილების ეფექ-
ტები ერთდროულად, როგორც აგრეგირებულ
მიწოდებაზე, ისე აგრეგირებულ მოთხოვნაზე
შესწავლილი. ქართველი ეკონომისტების ეს
მეცნიერული შედეგი 2016 წელს მოსკოვში (რუ-
სეთი) გამოცემულ „დაზვერვის თეორიული სა-
ფუძვლების ენციკლოპედიკაში“ შესული.

აკად. ლალო პაპავამ შეიმუშავა „გადასახა-
დების გარეშე ფუნქციონირებადი ეკონომიკის“
მოდელი. ამ და ლაფერის ეფექტის ამსახვე-
ლი ახალი მრუდების აგებისათვის ქართველ
ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად 2004 წელს ნაშ-
რომთა ციკლისათვის „მაკროეკონომიკური რე-
გულირების მეთოდები და მოდელური“ მას მეც-
ნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს
სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ვლადიმერ პაპავას მიერ შექმნილი საგა-
დასახადო კორუფციის ინდექსების საშუალე-
მით შესაძლებელია საგადასახადო სამსახურ-
ში გაზომილი იქნეს კორუფციის დონე.

საყურადღებოა, რომ აკად. ლალო პაპა-
ვამ ეკონომიკური ზრდის ისეთი მაჩვენებლები
ააგო, რომლებიც მკვეთრი ზრდის ეფექტს გა-
მორიცხავენ. შედეგად, კაპიტალის კლებადი
უკუგების კანონზომიერებიდან გამომდინარე,
ეკონომიკური ზრდის მოდელირებული მაჩ-
ვენებლების სივრცობრივი შედარება გახდა
შესაძლებელი.

გარე ეფექტების შესწავლა. მან აჩვენა, რომ
ჰიპერგლობალიზაცია პანდემიის პირობებ-
ში შეცვალა ტერმლენტურმა გლობალიზა-
ციამ, ხოლო მას შემდეგ რაც რუსეთმა 2022
წელს ომი დაიწყო უკრაინაში, კონფორტა-
ციული გლობალიზაცია ჩამოყალიბდა. იგი
თვლის, რომ მომავალში გაბატონდება გლო-
ბალიზაციის იმგვარი მოდელი, რომელიც
ეკონომიკურ უსაფრთხოებას დაეფუძნება.

აკად. ვლადიმერ პაპავასთვის გან-
საკუთრებულ სამეცნიერო ინტერესს სა-
ქართველოს ეკონომიკის კვლევა წარ-
მოადგენს. ამ თემაზე გამოქვეყნებული
მისი ნიშნები და სტატიები დიდადაა პო-
პულარული იმ უზსოვლი სპეციალისტა-
რისთვის, რომლებიც პოსტკომუნისტუ-
რი საქართველოს ეკონომიკაში განვი-
თარების პრობლემების შესწავლით არი-
ან დაინტერესდნენ. ლალო პაპავა
მკაფიოდ აყალიბებს პოზიციას იმის შე-
სახებ, რომ ეკონომიკაში განვითარება არ
შეიძლება იყოს საქართველოს მიზანი.
საქართველოსთვის მიზანი უნდა იყოს
ეკონომიკის სახელმწიფო ჩამოყალიბება
და განვითარება, ხოლო ეკონომიკაში
განვითარების გზა კი შეიძლება განხილულ
იქნას როგორც ამ მიზნის მიღწევის სა-
შუალება. როცა საქართველო
სრულფასოვან ეკონომიკის სახელმ-
წიფო ჩამოყალიბდება, მაშინ სა-
ბოლოოდ გადაწყვეტილების მიღე-
ბა საქართველოს ეკონომიკაში გან-
ვითარების შესახებ (მაგალითად, დროის-
თვის ეკონომიკის ფაქტორები
მდგომარეობის გათვალისწინებით)
ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრავ-
ლისთვის ნება უნდა დავუბრუნო.



აფხაზეთი რუსეთის კოლონიალ ბაღიქსა:

„რუსებმა, ფაქტობრივად, გაემოგვიცხადეს – ავიერიდან არაპირობითი დამოუკიდებლობაო“!

აუცილებელ აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ აკად. ვლადიმერ პაპავას სამეცნიერო ინტერესები მართო ეკონომიკური მეცნიერებით არ შემოიფარგლებოდა. კერძოდ, მისი კვლევის ინტერესების სფეროშია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პრობლემები.

ვლადიმერ პაპავამ „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონცეფცია განავითარა, რომლის თანახმადაც ცენტრალურ კავკასიას ქმნის სამი სახელმწიფო: აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, ხოლო სამხრეთ კავკასია კი აერთიანებს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის და ირანის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონებს, რომელთაგან პირველი – ქართველებით, ხოლო მეორე აზერბაიჯანელებითაა დასახლებული.

აკად. ლადო პაპავამ „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თეორია შეიმუშავა, რომლის თანახმადაც ცენტრალური კავკასიის რეგიონს ქმნიან ცენტრალური აზიის და ცენტრალური კავკასიის ქვეყნები, და რომლებიც არაიმპერიული ინტერესების კონტექსტში უნდა იქნენ განხილულნი.

პროფ. მიხეილ თოქმაშვილთან ერთად ვლადიმერ პაპავამ ჩამოაყალიბა „მილსადენების პარამონიზაციის“ თეორია, რომლის თანახმადაც მილსადენების ალტერნატიულობის ნაცვლად უპირატესობა მათ ურთიერთშემავსებლობას უნდა მიენიჭოს. ამგვარი მიდგომა დაინტერესებულ მხარეთა შორის კონფრონტაციულობის დონეს ამცირებს.

2012 წელს ვლადიმერ პაპავას შესახებ დიდ ბრიტანეთსა და მავრიკიაში გამოიცა საცნობარო-ენციკლოპედიური ხასიათის ორი წიგნი.

აკად. ვლადიმერ პაპავა საქართველოში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვედეთში, პოლონეთში, უკრაინასა და სინგაპურში გამომავალი სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო სამზღვს წევრია. ის არის საქართველოს და უცხოეთის რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიების, ასოციაციების და სამეცნიერო საზოგადოებების წევრი.

არაერთი წელია, რაც აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თავის მეცნიერულ გამოცდილებას წარმატებით უზიარებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს აკად. ლადო პაპავას, როგორც ეკონომისტის პრაქტიკული საქმიანობა. კერძოდ, 1994-2000 წლებში ის საქართველოს მთავრობაში ეკონომიკის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. იმ სამთავრობო ეკონომიკური გუნდის, რომლის წევრიც ბ-ნი ლადო იყო, დამსახურებდა უნდა ჩათვალოს ქვეყნის პიპერინფლაციური სპირალიდან გამოყვანა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და ფულის წარმატებული რეფორმის განხორციელება, რომლის შედეგადაც 1995 წლის შემოდგომაზე შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, რომელსაც მალე 30 წელი შეუსრულდება.

2004-2008 წლებში ბ-ნი ლადო საქართველოს პარლამენტის მეექვსე მოწვევის წევრი იყო.

2013-2016 წლებში აკად. ვლადიმერ პაპავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. ამ პერიოდში უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას მიექცა განსაკუთრებული ყურადღება.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრს ვლადიმერ პაპავას 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაზე აქვს ხელი მოწერილი.

35 წელზე მეტია, რაც ბ-ნი ლადო სხვადასხვა მედიასაშუალებით აქტიურად უზიარებს თავის პროფესიულ, თუ მოქალაქეობრივ პოზიციებს ქართველ საზოგადოებას.

ვულოცავთ ბ-ნ ლადოს საიუბილეო თარიღს! ვუსურვებთ პანორამულ მოგზაობას და ახალ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობასა და ქვეყნის აღმშენებლობაში.

საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

მითარება აფხაზეთში უპირობოდ მიიღო. ასეთი რუმორს რიგითი მოქალაქეების, ისე სამხედრო წარმომადგენლების დიდი ნაწილის შფატსა.

და საქმე აქ არა მართო ცხოვრების დაბალ დონეს ეხება, არამედ რუსულ სანქციებსაც, რომელიც მერჩვევითაა და არ ეხება მხოლოდ ხელისუფლებასა და მის მხარდამჭერებს. რუსეთის მხრიდან აფხაზეთის შიდა საქმეებში უპრეცედენტო მასშტაბების ჩარევას დიდად აღარავინ მაღავეს. აფხაზეთის დიდი მეზობელი ფაქტობრივად, ერთპიროვნულად გვირეგულირებს ჩვენი მოქალაქეების ყოფის ფაქტობრივად ყველა სფეროს, ენერგომომარაგების, სოცურუნველყოფისა და არაერთი სხვა რამის ჩათვლით. ამასწინანდელი საპრეზიდენტო არჩევნები ნათელ დემონსტრირებდა იქნა იმისა, რამდენად ღრმადია შემოსული კრემლი ამ კუთხით 2008 წლიდან. და მეგრმა, ვინც აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებას ბედის დიდ საჩუქრად მიიჩნევდა, მხოლოდ 2025 წლის დასაწყისში გააცნობიერა, რომ რუსების ამ „დიდსულოვნების“ უკან წმინდად მერკანტილური ინტერესი იმალებოდა.

ხალხმა გააცნობიერა, რომ რუსეთი მთელი ამ წლების განმავლობაში ისაკუთრებდა აფხაზურ მიწებს, საუკეთესო საკურორტო და ტურისტულ ადგილებს, სხვადასხვა სახელმწიფო საფარდებში კი გვისვამდა საკუთარ კადრებს მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის ინტერესებში სამუშაოდ.

ჩვენ სტუმრებმა ვიქცით საკუთარ მიწაზე, უტყვე და უფლებო მონებდა, რაც ძალიან სამწუხაროა – აცხადებს ჩვენი თანამოსაუბრე **დაურ მიხვამა**.

აფხაზეთი სულ უფრო მეტად იძირება ქაოსში. და ეს ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ყველა სფეროზე ვრცელდება. გასული წლის მხოლოდ რუსი პროპაგანდისტები და მათ კვალდაკვალ ანონიმური რუსული რესურსები აქტიურად ალაპარაკდნენ ჩვენს უწარგებზე, დავიცავთ სა-

კუთარი საზღვრები, რუსების დახმარების გარეშე თუნდაც კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაუწიოთ ჩვენს მოსახლეობას, მომავალ თაობას სათანადო დონის განათლება მიეცეთ და გადავამზადოთ სპეციალისტები. ზამთრის ყველაზე ცივ პერიოდში ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტა კი რუსეთის მხრიდან ძალის ერთგვარ დემონსტრირებად იქცა. მოსკოვი ნათლად მიგვანიშნებდა: მათთვის, ვისაც რუსების წინაშე მუხლზე დგომა არ სურს, დასასრული ახლოვდება.

„12-12 საათი ვისხედით უშუქოდ და რუსეთმა, რომელსაც შეეძლო, დაგვამარცხოდა, არაფერი გააკეთა. ისინი ფაქტობრივად, დიდად გვიცხადებდნენ, „თუ ისე არ მოიქცევით, როგორც ჩვენ გეუბნებით, კიდევ უფრო დაიტანჯებით“ – ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე **წმსლანო**.

„დაგვაცენეს არჩევანის წინაშე: ან უშუქოდ გავყინულიყავით და საარსებო წყაროების (ხელფასების, პენსიებისა და ა.შ.) გარეშე დავრჩენილიყავით, ან აგვეჩიოა ის, ვინც მათ სურთ. რუსეთმა ფაქტობრივად, წაგვართვა არა მართო ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიდერის არჩევის უფლება, არამედ საკუთარი მომავლისაც. რუსებმა, ფაქტობრივად, გამოგვიცხადეს – ამიერიდან არავითარი დამოუკიდებლობა“, – თვლის ჩვენი რესპონდენტი **რუმზინი**.

და ის ფაქტი, რომ რუსების ყველა მანიპულაციის შემდეგ აფხაზეთი ოპოზიცია და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება დუმის ინარჩუნებენ, ძალზე მკაფიო ილუსტრაციაა იმისა, რამდენად ცუდადაა საქმე სადღეისოდ ჩვენს რესპუბლიკაში. თანაც, არა მარტი მოქალაქეთა უფლებების კუთხით. ყველაფერი გაცილებით უფრო კრიტიკულადაა.

რუსეთის ხელისუფლება დიდად ალაპარაკდა აფხაზეთზე, როგორც ტერორისტებზე, ნაციონალისტებსა და უცხოეთის გავლენის აგენტებ-

ზე. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ღიად აფიქსირებს პოზიციას აფხაზეთის სახელმწიფო საკითხებზე, ავტომატურად იქცევა დენის ობიექტად როგორც თავად აფხაზეთში, ისე რუსეთში – განურჩევლად იმისა, გააჩნია თუ არა მას რუსეთის მოქალაქეობა. ასეთები ექვემდებარებიან სიტყვიერ და ფიზიკურ თავდასხმებს, დაკავებასა და კოლოსალურ ზენოლას როგორც რუსეთის, ისე აფხაზეთის შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

თუ დეტალებზე ვისაუბრებთ, პირველი, რაც უნდა გავისვენოთ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის მიმდინარეობისას ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე აყირავებული საარჩევნო ურნა. 1 მარტს უცნობ პირთა შეიარაღებული ჯგუფი საარჩევნო უბანზე შეიჭრა და მოისროლა ურნა, რითაც არა მარტო ხმის მისაცემად მისული რიგითი მოქალაქეები, არამედ კომისიის წევრებიც შეაშინა. მოგვიანებით საგზაო პოლიციის ერთ-ერთ საგუშაგოზე დააკავეს აფხაზეთის მოქალაქეები, რომელთაც ტერორიზმში დასდეს ბრალი. ამასთან, დაკავება ადგილობრივი სამართალდამცველი სტრუქტურებისთვის უჩვეულო მეთოდით – პირდაპირი ცეცხლის გახსნით ხორციელდებოდა. და როგორც ირკვევა, მასში რუსი სამხედროები იყვნენ ჩართულები.

მთლიანობაში ვითარება, როგორც არაერთგვაროვანი მიწინასწარმეტყველია, კარდინალურად შეიცვალა. ახლა აფხაზეთი ხელისუფლება ყველა გადაწყვეტილებას მხოლოდ მოსკოვთან შეთანხმების შემდეგ იღებს – მისი თანხმობის გარეშე აღარაფერი კეთდება. ფაქტობრივად, აფხაზეთი წამში გადაიქცა რუსეთის არათუ ნაწილად, არამედ კოლონიად – უფლებმოდ და უხმოდ. რუსები კი ამ დროს მსოფლიოს დასანახად აგრძელებენ იმ სურათის შექმნას, თითქმის აფხაზეთი თავისუფალია და დამოუკიდებელი.

პრისტინა აპიძა

სოხუმი რუსების მიერ

აფხაზეთისთვის ფსოვზე

დაწესებულ შეზღუდვებს

ხმაურება

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა ცნობებს რუსების მხრიდან ფსოვს „საგზაგაშუალო“ შეზღუდვების შემოღების თაობაზე.

მედიის ინფორმაციით, შემოღდა ეხებათ აფხაზეთის „მოქალაქეებს“, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობაც გააჩნიათ. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთი „პასპორტით“ კვეთენ დე ფაქტო საზღვარს, აღმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო გაცნობებთ, რომ რუსეთის პროფილურ უწყებებთან მიმდინარეობს კონსულტაციები. მოცემულ მომენტში აფხაზეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის კვეთის რეჟიმთან დაკავშირებით არავითარი ცვლილება არ მოქმედებს“, – აცხადებენ სოხუმში.

აფხაზეთი მხარის ინფორმაციით, დე ფაქტო საზღვრის კვეთის პროცედურა რეგულირდება 2009 წლის 2 ოქტომბრის „სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის შესახებ“, რომლის მიხედვით, „მოქალაქეებს შეეძლიათ, გამოიყენონ პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქეობას“.

„აფხაზეთის მოქალაქეებისთვის“ შემოღდების შესახებ ინფორმაცია მანამდე გამოჩნდა. 2024 წლის თებერვალში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის კრანსოლარის მხარის დირექტორმა კომენტარი გამოაქვეყნა, რომლითაც, ფაქ-




ტობრივად, დაადასტურა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები „ფსოვს საგზაგაშუალო“ გადაკვეთას მხოლოდ რუსული პასპორტებით შეეძლებოდა.

„რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც სხვა მოქალაქეობაც აქვთ, რუსეთის სახელმწიფო საზღვარს რუსული პასპორტით კვეთენ“, – აღნიშნული იყო მის კომენტარში.

მანამდე, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. არჩეულმა პრეზიდენტმა ბაღდა გუნდამ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე ორმაგი მოქალაქეობის გადაწყვეტის საკითხი დააყენა.

„დარჩენილია მექანიზმის განსაზღვრა, რომელიც დაუშვებს აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის ორმაგი მოქალაქეობის – რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასაც. იცით, რომ თქვენი მხარდაჭერით იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების 70 პროცენტზე მეტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეცაა. არიან ადამიანები, რომლებმაც ამ შესაძლებლობით სარგებლობა ვერ მოასწრეს. თუ ის შენარჩუნდება, ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ შესაბამისი პროგრამა განხორციელებულიყო“, – თქვა მუნაშა.

პუტინმა განაცხადა, რომ პროგრამა გავრცელდება, შესაბამისი საკითხები „დამუშავდება“. რუსული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ტასის“ ცნობით, **აფხაზეთში მცხოვრები 243 ათასი ადამიანიდან 130 ათასს რუსეთის მოქალაქეობა აქვს.**



„გოლო ორი დღის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით ინფორმაციის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში ერთ-ერთ მთავარ თემაზე წარმოადგენს აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური დესპანის სტივ უიშკოვის სპანდალური ინფორმაცია, რომელიც მან ჟურნალისტ თაქერ კარლსონს მისცა. სტივ უიშკოვმა, რომელსაც დონალდ ტრამპმა რუსეთთან მოლაპარაკების გადმოღობა დაავალა, ინფორმაცია წამოიწყო განცხადებით, რომელიც რუსული პრეზიდენტის ნარატივის შემთხვევა და რიგ შემთხვევებში აშკარად ეწინააღმდეგება ცნობილ ფაქტებს“, – ნათქვამია ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის „ბიბისის“ (BBC) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში სათაურით „რაფერენდუმები“, „ალყაიბა მოქმედა“, „ხრუშჩოვი“: სპანდალური მტკიცებულება უკრაინაზე უიშკოვის ინფორმაციდან“.

გთავაზობთ ვებლიკაზიას, რომელიც მოცემულია როგორც აშშ-ის სპეცდესპანის განცხადებები, ასევე „ბიბისის“ კომენტარები და განმარტებები.



„რაფერენდუმები“...

ხრუშჩოვი: სპანდალური მტკიცებულება უკრაინაზე

სტივ უიშკოვი – ამერიკელი მილიარდერი და ინვესტორი აშშ-ის პრეზიდენტის დავალებით რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვში და რუსეთის ხელმძღვანელებს შეხვდა. სწორედ მას გადასცეს რუსებმა მარჯ ფიგელი – აშშ-ის საელჩოს ყოფილი თანამშრომელი, რომელიც პატივმოხდა იმყოფებოდა.

ა) „რაფერენდუმები“ „უკრაინის რუსულენოვანი რეგიონებში“

ინფორმაცია სტივ უიშკოვის ყველაზე რეზონანსული განცხადებები აღმოჩნდა მისი ნათქვამი ე.წ. რეფერენდუმების შესახებ, რომლებიც რუსეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ უკრაინის რეგიონებში (ოლქებში) ჩატარდა.

რა ითქვა ინტერვიუში:

„სტივ უიშკოვი“: მე ფიქრობ, რომ კონფლიქტი ყველაზე დიდი საკითხია ოთხი რეგიონის – დონბასის, ყირიმის და სხვების კუთვნილება... თქვენ იცით მათი სახელწოდებები.

თაქერ კარლსონი: დიახ, ლუგანსკი...

სტივ უიშკოვი: დიახ ლუგანსკიც. და არის კიდევ ერთი რეგიონი, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს. იქ ჩატარდა რეფერენდუმები, რომელთა დროს მცხოვრებლების უდიდესმა ნაწილმა განაცხადა, რომ რუსეთის მმართველობის ქვეშ ყოფნა სურთ.

თაქერ კარლსონი: დიახ.

სტივ უიშკოვი: ფიქრობ, რომ ეს არის კონფლიქტის საკვანძო საკითხი. ასე რომ, ესაა პირველი მომენტი, რომელიც უნდა გადაწყდეს. ამაზე ჩვენ ძალიან პოზიტიური დისკუსია გვქონდა. ამ ტერიტორიებს რუსეთი აკონტროლებს.

თაქერ კარლსონი: ანუ ამ ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ამჟამად, კრემლის თვალსაზრისით, რუსეთის ნაწილს წარმოადგენს. სწორად ვამბობ?

სტივ უიშკოვი: დიახ, სწორია. ეს ყოველთვის ასე იყო.

როგორ არის სინამდვილეში:

სინამდვილეში რუსეთი პრეზიდენტის აცხადებს ხუთ რეგიონზე: ყირიმზე, დონეცკზე, ლუგანსკზე, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებზე.

უკრაინის პარლამენტის არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რუსული ენის გავრცელება უკრაინის ამა თუ იმ რეგიონში სულაც არ მეტყველებს მოსახლეობის სურვილზე, იცხოვროს რუსული მმართველობის ქვეშ და რუსეთის ტერიტორიის ნაწილი გახდეს.

2001 წლის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, ხერსონის ოლქში მოსახლეობის მხოლოდ

25%-მა დაასახელა რუსული ენა მშობლიურ ენად, ზაპოროჟიის ოლქში – 49%-მა, დონეცკში – 69%-მა, ყირიმში – 75%-მა.

რაც შეეხება „რაფერენდუმებს“, რუსეთის ხელისუფლებამ რეფერენდუმები ოკუპაციის დროს ჩაატარა და მის ლეგიტიმურობას მსოფლიოს სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა არ აღიარებს.

გარდა ამისა, კრემლი სინამდვილეში მთლიანად ვერ აკონტროლებს იმ ოლქებიდან რამდენიმეს, რომლებზეც ვსაუბრობთ: ყირიმი რუსეთის შემადგენლობაშია 2014 წლიდან. რუსეთის არმიის უკრაინაში შეჭრისთანავე ლუგანსკის ოლქის მთლიანი ოკუპირება მოხდა. რაც შეეხება დონეცკის ოლქს, მას რუსეთი მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს, ოლქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ისევ უკრაინის ხელშია. იგივე სიტუაციაა ხერსონისა და ზაპოროჟიის ოლქების მიმართაც.

ბ) ნიკიტა ხრუშჩოვის როლი

ინფორმაცია დროს თაქერ კარლსონი და სტივ უიშკოვი ასევე სარგებლობენ ცრუ მტკიცებულებით საბჭოთა ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის როლის შესახებ უკრაინის ტერიტორიის ჩამოყალიბებაში.

რა ითქვა ინტერვიუში:

სტივ უიშკოვი: ჩვენ მკაფიოდ უნდა დავადგინოთ ფაქტები და პირობები. რუსეთისა და უკრაინის თანამედროვე თვალსაზრისის გათვალისწინებით, კონფლიქტის საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინელების ნაწილი რუსების წინააღმდეგ გამოდიოდა. რუსები ფიქრობენ, რომ უკრაინა „ყალბ სახელმწიფო“ წარმოადგენს, ანუ უკრაინა მოზაიკურად არის ხელოვნურად შეკრებილი სხვადასხვა ნაწილებიდან. მიმართა, რომ სწორედ ეს არის ამ ომის საკვანძო მიზეზი: რუსეთი ხუთ რეგიონს, რომლებიც უკრაინას ხელოვნურად აქვს მიერთებული, თავისად თვლის. ამავდროულად არავის არ სურს, მე კი მკაფიოდ ვამბობ. როგორ შეიძლება კონფლიქტის ისე მოგვარება, თუ არ გადაწყდება მთავარი საკითხი?

თაქერ კარლსონი: უკრაინას აღნიშნული ოლქები ნიკიტა ხრუშჩოვმა მიუერთა.

სტივ უიშკოვი: დიახ, ასეა.
თაქერ კარლსონი: არადა, ნიკიტა ხრუშჩოვი, მგონი, თვითონ უკრაინელი იყო. საოცარი ფაქტია!

როგორ არის

სინამდვილეში:

პრეზიდენტალ ნიკიტა ხრუშჩოვმა აღადგინა, რომლის სახელითაც პრეზიდენტი დაიბადა და გაიზარდა, იმის, რომ ნიკიტა ხრუშჩოვს შეეხება არ ჰქონია დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებთან, რომლებიც უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილია. უკრაინის სახელმწიფო შეიქმნა 1919 წლიდან.

რაც შეეხება ყირიმს, ნახევარკუნძული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბ-

რა ითქვა

ინტერვიუში:

თაქერ კარლსონი: თქვენ ფიქრობთ, რომ რუსებს მთელი ევროპის მარშით გავლა სურთ?

სტივ უიშკოვი: არ სურთ. ამას 100%-იანი რწმენით ვამბობ.

თაქერ კარლსონი: და რატომ უნდა სურდეთ რუსებს (ევროპის ქვეყნების დამორჩილება)?

სტივ უიშკოვი: მე მგონი, საკითხი ასე უნდა დაგვადგინო: რამი ჭირდება რუსებს უკრაინის მთლიანი კონტროლი? რა კონკრეტული მიზნისთვის? მათ, წესით და რიგით, უკრაინის მთლიანად შთანთქმა არ უნდა სურდეთ. ეს იქნება

მა არაერთხელ გაიმეორა კრემლის ყალბი მტკიცებულებები, რომ უკრაინის ჯარები კურსკის ოლქში რუსების მიერ არიან ალყაშემორტყმულნი.

რა ითქვა ინტერვიუში:

სტივ უიშკოვი: არის საკითხები, რომელთა მოგვარება რუსებს ცუცხელის შეწყვეტის გამოცხადებამდე სურთ... მაგალითად, კურსკის ოლქში უკრაინის ჯარები ალყაში არიან მოქცეულნი.

თაქერ კარლსონი: კურსკის ოლქი რუსეთის შემადგენლობაშია.

სტივ უიშკოვი: დიახ, კურსკის ოლქი რუსეთის ტერიტორიაზეა, რომელიც უკრაინელებს ჰქონდათ ოკუპირებული და რუსებმა ბრძოლით უკან დაიბრუნეს. უკრაინელები იქ ალყაში არიან ბლოკირებულნი. პრეზიდენტ დონალდ ტრამპს არ სურს, რომ ისინი რუსებმა გაანადგურონ. ეს მნიშვნელოვანი პირობაა, რომელიც უნდა მოგვარდეს.

როგორ არის სინამდვილეში:

კურსკის ოლქის სუჯას რაიონში მყოფი უკრაინის ჯარების ვითომდა ალყაში მოხვედრის თაობაზე მხოლოდ დღევანდელ წყაროებზე დაყრდნობით ვიხსენებ. დონალდ ტრამპმა, ასევე ვლადიმერ პუტინმა, მაგრამ როგორც ვოლოდიმერ ზელენსკი, ასევე რიგი დასავლეთელი სამხედრო ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ტრამპისა და პუტინის ნათქვამი სინამდვილეს არ შეესაბამება.

ა) „პუტინი ბრავიოსთის

ლოსულოდა“...

სტივ უიშკოვის ინფორმაციიდან სინამდვილესთან რიგ განცხადებებში ვლადიმერ პუტინისა და დონალდ ტრამპის ურთიერთდამოკიდებულების შესახებაც. მაგალითად, ის ფაქტი, რომ დონალდ ტრამპმა მომხდარი თავდასხმის შემდეგ ვლადიმერ პუტინი ლოცულობდა და მას ფერწერული პორტრეტი აჩუქა.

„მე როცა რუსეთში მეორედ ვიყავი, ძალიან პირადული მომენტები გავიგე. თურმე ვლადიმერ პუტინს შეუკვეთია დონალდ ტრამპის პორტრეტის დახატვა ცნობილი რუსი მხატვრისათვის და როცა მე რუსეთის პრეზიდენტს შევხვდი, მან ეს ნახატი მომცა და მხოლოდ, პრეზიდენტ ტრამპისათვის გადაეცა. მართლაც ასე გავაკეთე. ეს ძალიან სასიამოვნო მომენტი იყო.“

ვლადიმერ პუტინი ასევე მომიყვია, რომ, როცა დონალდ ტრამპს ესრატოვს, იგი მივიდა თავის ეკლესიაში, შეხვდა წინამძღვარს და ტრამპის უსაფრთხოებაზე ილაოცა. არა იმიტომ, რომ ის იმ დროს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და პრეზიდენტად არჩევის რეალური შანსი ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ორივეს ერთმანეთთან მეგობრობა აკავშირებთ. პუტინი თავის მეგობარზე ლოცულობდა. წარმოიდგენიათ, ეს რას ნიშნავს? იცით, რა მდგომარეობაში ვიყავი, როცა პუტინის წინაშე ვიყავი და მის ნაამბობს ვუსმენდი?

როცა უკან, შტატებში დაბრუნდი და პუტინის გზავნილი ჩვენს პრეზიდენტს გადაეცემა, რა თქმა უნდა, ნახატიც, დონალდ ტრამპს აშკარად ესაიბოვნა. ასე რომ, სწორედ ასეთი უბრალო მოქმედებით, კეთილი სიტყვებით შეიძლება ადამიანებს შორის ნორმალური კომუნიკაციების დამყარება. ზევრამ შეიძლება თქვას, რომ მე მას არ უნდა შევხვედროდი, რომ პუტინი ცუდი კაცია და ა.შ. მე არ ვთვლი მას ცუდ ადამიანად. სიტუაცია ძალიან რთულია, ომი უნდა შეწყდეს“.

მოაგონა სიმონ კილაძე





მიმიკა. გარეგნობა, ხალხის გურული იუმორი და მანერები ერთი შეხედვითაც მიგანიშნებთ, რომ მეოცე საუკუნის ბებიად წოდებული გენიალური ქართველი მსახიობის სესილია თაყაიშვილის ახლო ნათესავია. შეილიშვილი არა, მაგრამ ბიძაშვილი ილიკო თაყაიშვილი ნამდვილად „დოხტური“ გამოვიდა და ბოლო წუთამდე გვერდიდან არ მოშორებია მამიდას, რომელსაც ასე ძალიან ჰგავდა.

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის შთამომავალი, ანსამბლ „სუსიშვილებს“ ბირგელი თაობის მოცეკვავე ილიკო თაყაიშვილი 2015 წლის 7 სექტემბერს, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, მის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრეა ჩაწერილი, როდესაც 87 წლის ექიმი თბილისის ენატე ფიფიას სახელობის საავადმყოფოში ჯერ კიდევ მოქმედი ქირურგი იყო.

...რა ჩატანა საფლავში აკაკი შანიძემ ექვთიმე თაყაიშვილს, რატომ შეასხა ცხელი კერძი სესილიამ სახეში „ჩეკას აგენტებს, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას ვასო გოძიაშვილთან, განქორწინების შემდეგ, და რატომ ეგონა ექიმს 80 წლის სესილია ორსულად? — აღნიშნულ და სხვა საინტერესო თემებზე, „ცოლის მოყვანის დილისორშიკი“, მარტოხელა ექიმი ილიკო თაყაიშვილი ჩვეული გურული იუმორით საუბრობს (საუბრის სტილი დაცულია).

ილიკო თაყაიშვილი:

— სესილია არამხოლოდ გენიალური მსახიობი, უდიდესი პიროვნება და ადამიანი იყო. კეთილი, გულისხმიერი, სამართლიანი, მოსიყვარულე და დიდი იუმორის გრძნობით გამოირჩეული, ყველას უყვარდა.

სესილიას მამა და მამაჩემი ძმები იყვნენ. მე კი ისე ძალიან ვგავდი მის ძმას, აკაკის, რომ ვერ გავგარჩევდით ერთმანეთისგან. გვავარ მამიდა სესილიასაც. ვინც ერთად გვხვდავდა, ყველას მისი შვილი ვეგონე. დათუნა ისე არ ჰგავდა დედას, როგორც მე — მამიდაჩემს.

სული ჩემს ხელში დალია, მე და მისი სცენიური შვილიშვილი, ზურიკელა (ექიმი სერგო ორჯონიკიძე — ნ.ძ.) ვადევით თავზე. დიპეტი ჰქონდა და ბოლოს ისე დამძიმდა, სისტემაზე იყო შეერთებული. სერგოს მისი თავი ეჭირა, მე კი გულში მყავდა ჩახუტებული... მამის თვეში გარდაიცვალა, 1984 წელს.

— შეილიშვილი თუ არა, ბიძაშვილი მაინც ჰყოლია ექიმი. რჩევებს ხშირად გეკითხებოდით?

— რომ დაახვედრებდა ან დაამცხიკებდა, მაშინვე მირეკავდა — ილიკო, მოეთრიე აქანა, რაცხა გლახათ ვარ!.. საერთოდ, ძალიან ენდობოდა ექიმებს, ფრჩხილაც რომ ასტკივბოდა, ექიმთან გარბოდა, ზრუნავდა თავის ჯანმრთელობაზე და წეზისმიერ თეთრხალათიანს, სტუდენტი ან სანიტარიც რომ ყოფილიყო, ეკითხებოდა, რა მჭირს თუ იცი, ხომ არ გვკვდებიო?!

ერთხელ დამირეკა და მითხრა, უნდა დაეწვე ახლა მე თქვენთან საავადმყოფოში, ვერ ვარ კარგადო. კი, მამიდა, შენი ჭირმე, დანეცი და მოგხედავთ-მეთქი, ვუთხარი.

დატრიალდნენ ექიმები, საუკეთესო ორთახიან პალატაში მოვათავსეთ და ჩვეურეთ ყველანაირი გამოკვლევა. გინეკოლოგი გვყავდა ერთი, ვალიკო, უზომოდ კეთილშობილი და გულუბრყვილო ადამიანი. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სიტყვა „უსინდისო“ არ უკადრებია არავისთვის, უადრესად პატიოსანი, სუფთა და მიმნდობი იყო. ჰოდა, ვალიკოს ნუთხარი, ნამოდი ერთი, ნუ დამზარდები, გასინჯე მამიდაჩემი-მეთქი (80 წლამდე იყო უკვე მამიდა). რა სჭირსო, მკითხა. რა ვიცი, მგონი საშვილოსნოს გარე ორსულობა უნდა იყოს-მეთქი. ერთი კი შემომხედა გაკვირვებით, მაგრამ არაფერი უკითხავს, მაშინვე ჩაალაგა იარაღები და გამოშვავა.

სანოლზე იყო წამოვარებული მამიდა და თავისი განუყრელი „პრიმი“ ჰქონდა პირში გაჩხერილი.

— მამიდულა, ეს კაი ექიმი და გაგსინჯავს-მეთქი, ვუთხარი. გახსნა ვალიკომ „ჩამადანჩიკი“, წამოიყვანა ხელთათმანები და მიუახლოვდა სესილიას.

მამიდა წევს და გაკვირვებული უყურებს. კი მარა, შენ რაის ექიმი ხარო? — ჰკითხა, როცა ხელთათმანიანი ხელებით მიუახლოვდა ექიმი და კამის აწევა სთხოვა. გინეკოლოგი ვარო, უპასუხა ვალიკომ. მერე მე მაქანა აფერი არ

რატომ ეგონა ექიმს 78 წლის სესილია ორსულად?

მსახიობის ბიძაშვილი საბავსო წინაპრებზე

მჭირს, გული მანუხებს პანა. რაეა, ორსულად გვინვიარ ამ ხნის ქალიო? — გადირია მამიდა. ჩემი ბიძაშვილი რომ აბდალაა, ქე ვიცი, მარა შენ რამ გამოგაშტერა, ამხელა კაციო?... მე კი ვალიკოს ძლივს გამოვასწარი პალატიდან (იყინის).

— გარეგნობის გარდა, იუმორიც მისეული გქონიათ, კიდევ რა თვისებებით გავხარო მამიდას? რას გაიხსენებთ მის შესახებ?

— მამიდაჩემივით „მყრალი“ არ ვარ (იყინის).

ფეტი?! ქე ჩავალ ბარემ ახლა, ახლოს ვარ მაინცო, ჩაცუნცულდა და შევიდა თეატრში.

სახის მოვლა უყვარდა ძალიან, საზღვარგარეთ როცა მივილიოდი, მაზარებდა, ერთი „რეისნერის“ გრიმი ჩამომიტანე, მეტი არაფერი მინდაო.

„რეისნერის“ გრიმი უშველის მაგ მოღრეჯილ სახეს-მეთქი? — ვეხუმრებოდი ხოლმე. მოღრეჯილი რომაა, იმიზა მინდა, რომ გაასწოროს პატარაო, მპასუხობდა.

— ბატონო ილიკო, ვასო გოძიაშვილთან დამორების შემდეგ სესილია აღარ გათხოვილა. ამზობენ, ბოლომდე ამ სიყვარულის ერთგული დარჩაო. რას გვეტყვით მათი ურთიერთობის შესახებ?

— ვინ ითხოვდა მაგას (იყინის)! სიყვარულის რა მოგახსენოთ, პატივს კი სცემდნენ ერთმანეთს. ბოლომდე ერთად იდგნენ სცენაზე და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ვასო ძალიან მძიმე ხასიათის კაცი იყო.

ვასოსთან დამორების შემდეგ, სესილია ერთადერთ შვილზე, დათუნაზე გადაერთო მთლიანად. მეტი საფექრალი და საზრუნავი აღარ ჰქონია. ის კი არა, კაცისკენ აღარც გაუხედავს. შვილს მარტო ზრდიდა. ვასო ამაცობდა, რომ ასეთი შვილი ჰყავდა, მაგრამ მის აღზრდაში არ მონაწილეობდა. დათუნაც ძალიან მორიდებული იყო მამასთან.

მე და დათუნა ერთი ასაკის ვიყავით, ერთად ვიზრდებოდით და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენ, თაყაიშვილებს, განსაკუთრებული

ურთიერთობები და სიყვარული გვაკავშირებს ერთმანეთთან, ოჯახის წევრებში ვართ ყველანი. რომელი კუთხის თაყაიშვილიც უნდა იყოს, მაინც ჩვენია. ოზურგეთის რაიონიდან ვართ, ლიხაურიდან, მაგრატიონთა შტო ვართ.

— ეს როგორ?

— ჩვენი სახლის გვერდით, ოზურგეთში ცხოვრობდა სკოლის დირექტორი, გვარად მაგრა-

შუალება?! წლების შემდეგ, როცა ექვთიმე საფრანგეთიდან დაბრუნდა, მასთან მიახლოვბასაც გვიკრძალავდნენ ნათესავებს „ჩეკას“ აგენტები. უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად რომ მიდიოდა, თავად მიააცილებდნენ და მოაცილებდნენ. ვაშლოვანის ქუჩაზე ერთ პატარა ეზოში ცხოვრობდა, ტუალეტშიც ვერ შევიდოდა ისე, ისინი რომ არ გაჰყოლოდნენ.

ერთხელ სესილიამ მიაკითხა სახლში და ქვაბით ცხელი სადილი მიუტანა. ეზოში არ შეუშვეს, ვინა ხარ და ვისთან მიდიხარო, ჰკითხეს. ვინა ვარ, ვერ მცნობო? — ბიძაჩემთან მივდივარო, უპასუხა მამიდამ. გცნობთ თუ არა, დავალევა გავქვს ასეთი, ვერაფრით შეგიშვებო.

დიდხანს ითხოვდა მამიდა, თურმე, ექვთიმესთან შესვლას, მაგრამ ვერაფერი გააწყო და სესილია ამა რის სესილია იყო! — მოხადა ქვაბს თავი და ეს ცხელი კერძი მცველებს სახეში შეასხა, — აჰა, მამინ თქვენ ჭამეთ, გასკდა თქვენი მუცლებიო!..

მამთიმა თაყაიშვილის ცხადარს 52 „ჩეკისტი“ მიაყილვდა სასაფლაოზე, ოჯახის წევრები და ახლომდებარე ახლოს არ გაგვპარანს. მძღოლს, რომელსაც მიცვალებულს ნაშთი მიჰქონდა, აჰაპი ზანიძე დაეღაპარა და სთხოვა, უნივერსიტეტთან რომ ჩავივლით, გააჩვენა, ვითომ მანქანა გაგიფუჭდა და მიცვალებულთან გამოჩვენა.



მძღოლმა მართლაც გააჩერა უნივერსიტეტთან, ახადა მანქანას „კაპოტი“, ვითომ გაუფუჭდა და რაღაცის კეთება დაიწყო. მაშინვე მიცვალე-ბულთან მივეცვივდიო ყველანი. აკაკიმ ერთი-ორი გამოსამშვიდოებელი სიტყვა თქვა მის ცხედართან და მერე თავისივე ნაშრომი ჩუმად ჩაუდო სადგომში მიცვალეგულს.

— გულსატკენი და წარმოუდგენელია, რომ ერისთვის ფასდაუდებელი ღვაწლის მქონე ადამიანს კრიმინალიზით ეპყრობოდნენ...

— სანამ ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთში მოღვაწეობდა, ჩვენც, მისი ოჯახის წევრებს, გარკვეული შეზღუდვები გვქონდა, თუ ქვეყნიდან გასვლას მოვინდომებდით.

22 წლის ვიყავი, როცა საფრანგეთში წასვლა მოვინდომე, მაგრამ ხელისუფლებამ უარი მითხრა ჩვენი ნათესავური კავშირის გამო, თითქოსდა, ტანკი უნდა გამოეტანებია ექვთიმეს საქართველოში ასაფეთქებლად.

— თქვენი გენეტიკის დამსახურებაა ალბათ, რომ 87 წლის ასაკში, კვლავ უჩვეულო ფორმაში ხართ, დღემდე მუშაობთ, ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ემსახურებით. „სუსიშვილებთან“ ერთად მსოფლიო გაქვთ მოვლილი და მაინც არ დაოჯახდით...

— რა ექნა, დედისერთა, ცოლის მოყვანის „დილიხორიკი“ ვაქი ვარ, მაგრამ მაინც არ დავოჯახდი. სახლში არასდროს ვიყავი და, ვინ გამიჩერდებოდა, კიდევაც რომ მომეყვანა?

ისე, ქალების მეტი რა იყო, კაცო! — ნებისმიერი ეროვნების, ამოგვრჩია რომელიც ვინდოდა (იყინის) და მეც მრავალფეროვნება ვამჯობინე ერთფეროვნებას!

მსაუბრა

ნონა ძარძაშაძე.



ქართველმა ქიუდოისტებმა თბილისის გრანდ სლემის ბოლო დღეს სამი მედალი მოიპოვეს

1 ვერცხლი და ორი ბრინჯაო, ამ შედეგით დაასრულეს ქართველმა ქიუდოისტებმა თბილისის გრანდ სლემის ბოლო საშეჯიბრო დღე. ფინალში **გურამ თუშიშვილმა** იჭიდავა, ხოლო კიდევ ორმა: **გიორგი ჯამნიაშვილმა** და **ირაკლი დემეტრეშვილმა** ბრინჯაოს მედალს შეუტეეს. +100 კგ წონით კატეგორიაში **თეზეშვილმა** ნეიტრალური გუნდის წევ-

რი **იბრაგიმ მარგიფი**, კვიპროსელი **იანის ანტონიუ** და მონღოლი **გონჩიგსურენ ბატსუიავი** დაამარცხა. ფინალში გურამის მეტოქე რუსი **ინაო ტასიევი** იყო, რომელთანაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამავე წონაში ბრინჯაოს შანსი კარგად გამოიყენა **ირაკლი დემეტრეშვილმა**. მან ნიდერლანდელი

იელე სნიპე და უკრაინელი **ვგგენი ბალივესკი** დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ხსენებულ ტასიევენთან წააგო. ბრინჯაოსთვის დემეტრეშვილის მეტოქე უზბეკი **შოხრეხონ ზახტაროვი** გახლდათ. ამავე წონაში უმეტესობა დარჩენე **გამო მუჰანიანი** და **სამა ინანეიშვილი**.

90 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა **გიორგი ჯამნიაშვილმა**, რომელმაც თავდაპირველად ტაჯიკი **შოდონ რიზოევი**, ნეიტრალური გუნდის წევრი ალიაქსანდრ სიდორიკი და სერბი **ისლამ სოგენოვი** დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ფრანგ ალექსის მარტისთან მარცხი განიცადა და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში სლოვაკ პეტერ უილკას აჯობა.

თბილისის გრანდ სლემი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც 52 ქვეყნის 385 სპორტსმენი გამოდიოდა. ჩვენი ქვეყანა ტურნირზე 7 წონით კატეგორიაში 4-4 ძიუდოისტით იყო წარმოდგენილი და ჯამში 9 მედალია (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო): ბოლო სამეჭიბრო დღედ – ეთერ ლიპარტელიანი და ლაშა შავდათუაშვილი ოქროს, თემურ ნოზაძე ვერცხლს, ხოლო ნინო ლოლაძე, ზაურ დვალაშვილი და ირაკლი მერაბიშვილი ბრინჯაოს დაეუფლნენ.



ქართველი პარაქიუდოისტები – საბა გალდავაძე და ზვიად გოგოჭური „მსოფლიოს თასის“ ჩემპიონები გახდნენ

ქართულმა პარაქიუდოისტმა საბა გალდავაძემ (-81 კგ) „თბილისის არენაზე“ პარაქიუდოში, მსოფლიოს თასის გათამაშებაზე ჩემპიონობა იზეიმა. მან ფინალში თურქი მონინალმდევე დაამარცხა. აღნიშნულ ტურნირზე საქართველოსთვის ეს მესამე მედალია. -70 კგ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა და **გიორგი ქაღალაძე** ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო **ზურაბ ზურაბიანი** კი ვიცე-ჩემპიონი გახდა.



გუგუშვილი სალამოს საქართველოს ნაკრებმა მორიგი ოქროს მედალი მოიპოვა. ჩემპიონი **ზვიად გოგოჭური** (J2 95კგ) გახდა, რომელმაც ფინალში საფრანგეთის სახელით მოასპარევე ლაჩუშანაია დაამარცხა. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიგო **ლაშა ყიფილაშვილმა**.



ფინალში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხდა **რეზაზ ჩიკოძე** (J2 +95კგ), რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. ქართველმა პარაქიუდოისტმა ბაჩუკი შელიამ (-81 კგ) მესამე ადგილისთვის შეხვედრაში იტალიელი მონინალმდევე დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ ტურნირზე საქართველოსთვის ეს მეოთხე მედალია. -70 კგ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა და გიორგი ქაღალაძე ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო ზურაბ ზურაბიანი ვიცე-ჩემპიონი გახდა.

კვარაცხელია და მამარდაშვილი „გაიფუნენ“, მიქაუტაძე და დავითაშვილი „გაპირდნენ“

ცნობილმა პორტალმა Transfermarkt-მა საფრანგეთის ლიგა 1-ში მოთამაშე ფეხბურთელების ფასები განაახლა.

ხეიჩა კვარაცხელია, რომელიც დეკემბრიდან მოყოლებული 85 მილიონ ევროდ ჰყავდათ შეფასებული, ახლა 80 მილიონი ევრო ღირს. შესაბამისად, ის 5 მილიონით გაიფუნა.

მიუხედავად ამისა, კვარაცხელია ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, როგორც საქართველოში, ისე მთლიანად ლიგა 1-ში და „პარი სენ-ჟერმენში“. მესამე ადგილზეა მარცხენა გარემარბებს შორის ვინისიუსი და ლუის დიასის შემდეგ, ხოლო ასევე მესამე ადგილს იკავებს 2001 წელს დაბადებული შორის ბუკაიო საკასა და როდრიგოს შემდეგ. მთლიანად მსოფლიოში კი, 23-ე პოზიციაზეა.

სამაგიეროდ, ოდნავ გაძვირდა გიორგი მიქაუტაძე, რომელიც 18 მილიონად თუ იყო შეფასებული, ახლა 20 მილიონი ევრო ღირს. მიქაუტაძე საქართველოში მესამეა კვარაცხელიას და გიორგი მამარდაშვილის შემდეგ. „ლიონში“ მეოთხე, ლიგა 1-ში 38-ე, ფორვარდებში 71-ე, 2000 წელს დაბადებული ფეხბურთელებში 59-ე, ხოლო მსოფლიოში 485-ე.



გაძვირდა ზურიკო დავითაშვილიც, რომელიც 8 მილიონად ფასობდა, ახლა 10 მილიონი ევრო ღირს. ზურიკო „სენტ ეტიენის“ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, ლიგა 1-ში 95-ე ადგილზეა, საქართველოში მე-4 კვარაცხელიას, მამარდაშვილისა და მიქაუტაძის შემდეგ, 2001 წელს დაბადებულებში 111-ე, მარჯვენა გარემარბებში 112-ე, ხოლო მსოფლიოში 1036-ე.

ცნობილმა პორტალმა Transfermarkt-მა ესპანეთის ლა ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელების წყაროს თანახმად, გიორგი მამარდაშვილი ახლა 30 მილიონი ევრო ღირს, მაშინ, როცა მისი ფასი 40 მილიონი ევრო იყო. მიუხედავად, მკვეთრი გაიფუნისა, ის „ვალენსიაში“ მაინც ყველაზე ძვირადღირებული ფეხ-



ბურთელია, ისევე, როგორც ლალიგაში მეკარეებს შორის. საქართველოში მხოლოდ ხეიჩა კვარაცხელიას ჩამორჩება, მსოფლიოში მეკარეებს შორის მე-8 ადგილზეა, 2000 წელს დაბადებულ ფეხბურთელებში 28-ე საფეხურზე, ლა ლიგაში 33-ე პოზიციაზე, ხოლო მსოფლიოში 259-ე ადგილზეა.

მამარდაშვილს Transfermarkt გასული წლის ზაფხულიდან დეკემბრამდე 45 მილიონად აფასებდა, დეკემბერში მისი ფასი 40 მილიონ ევრომდე შემცირდა, ხოლო ახლა 30 მილიონამდე. შეგახსენებთ, „ლივერპულმა“ „ვალენსიასთან“ გიორგი მამარდაშვილი გასულ ზაფხულს 35 მილიონ ევროდ შეიძინა, მიმდინარე სეზონის ბოლომდე კი, იჯარით ესპანურ კლუბში დატოვა.



„მატჩმა რაიმე განსაკუთრებულს ვერაფერს ვიძახებ: ქართველებს გოლები თავიანთ გემოზე და სურვილზე გაჰქონდათ, თანაც სომხეთის გუნდის თბილისურ განადგურებას სათავე თვითონ კაპიტანმა ვარაზლამ არიანმა დაუდო – მან გოლი საკუთარ კარში უკვე მატჩის მე-4 წუთზე გაიტანა... ყველაფერი ადასტურებდა იმას, რომ სომხე ფეხბურთელებს არაფრის უნარი არ გააჩნდათ. არაფერი არ შეუცვლია ედგარ სეფიძის ლამაზ გოლ-

საც, რადგან გამარჯვება მაინც ქართველებს დარჩათ, თანაც დიდი ანგარიშით. სომხე ფეხბურთელებს ამკარად დიდი პრობლემები აქვთ“, – ნათქვამია სომხეთის გაზეთ „გოლოს არმენიის“ (Голос Армении) მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „სირცხვილი და თავის მოჭრა – საფეხბურთო მოედანზე და მოედნის გარეთ“ (ავტორი – ვადიმ მკრტიანი).

გთავაზობთ ამონარიდს ჟურნალისტის, როგორც თბილისის სტადიონზე მომხდარ ინციდენტს ახეხა:

– **ოროდუე სიტყვა** იმ ინციდენტზე, რომელიც თბილისის „დინამო-არენას“ სტადიონზე მოხდა: საინტერესოა, ჰქონდა თუ არა სტიქიური ხასიათი რამდენიმე ასეული უმართავი დევგენარტის სამარცხვინო ქცევის თუ ის დაგეგმილ პროვოკაციას წარმოადგენდა, შესაძლოა, ადგილობრივი აზერბაიჯანელების მონაწილეობით? ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტი იმაშია, რომ ტრიბუნებზე მყოფი ქართველი გულშემატკივრების უმრავლესობა მოედანზე გადასული ვაი-ფანატების მისამართით იძახდნენ, რომ ისინი სამარცხვინოდ იქცეოდნენ, ხოლო სომხურმა ფანდატგუფებმა განაცხადა, რომ მათმა ქართველმა კოლეგებმა ბოდიში მოიხადეს მომხდარის გამო.

საბედნიეროდ, არავინ არ დაშავებულა, თუმცა თანამედროვე ქართულ პოლიციას მასპინძლებისათვის სამარცხვინო ინციდენტის დროული აღკვეთა შეეძლო. უფა, ალბათ, ქართულ საფეხბურთო ფედერაციას და სტადიონს რამენაირად დასჯის, ჩვენ კი ვაგავნობთ სოციალური ქსელის ჩანაწერს, რომელიც ქართველ აქტივისტს თამთა თათარაშ-

ვილს ეკუთვნის: „სომხებმა ქართველებზე გაიმარჯვეს – თავიანთი სტუმართმოყვარეობით, კულტურით, ეთიკით და ადამიანური თვისებებით 10:0-ზე. სირცხვილი და თავის მოჭრა! კიდევ კარგი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რეაგირება მოახდინა და სომხური მხარის წინაშე ბოდიში მოიხადა.“

კარგია, რომ ჩვენც რაღაცაში

„მოგებულები“ ვართ. რა თქმა უნდა, ხუმრობაა, მაგრამ ვერაფერს იტყვი – თავზე მართლა ნაცარს ხომ ვერ დაიყრი. ცხოვრება გრძელდება. ფეხბურთი ხშირად ჩვენი ყოფის ამრეკლავ სარკეს წარმოადგენს, უფრო სწორად, იმ რეალობისა, რომელიც ჩვენ ირგვლივ არსებობს.“

მოაგზავნა **სიმონ კილაძე.**

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემზი პოლიდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიმერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ავთანდილ მამისაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:


1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ავთანდილ მამისაშვილი (პ/6 13001054959), მის: გურჯაანი, ს. არაშენდა, მე-10 ქ. #13
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: გურჯაანი, ს. არაშენდა, სათბურთან ვერხვებთან (საკადასტრო კოდი: 51.18.60.295)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 41825.64 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2025 წლის 26 მარტი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2025 წლის 8 აპრილი, 14:15 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის #71271HZP106862125; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1068621
6. მოვალე: ავთანდილ მამისაშვილი (პ/6 13001054959), მის: გურჯაანი, ს. არაშენდა, მე-10 ქ. #13;
თამილა მამისაშვილი (პ/6 13001054958), მის: გურჯაანი, ს. არაშენდა, მე-10 ქ. #13
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემზი პოლიდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის მენფეციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიმერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემზი პოლიდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის #71271HZP106862125; ლოტის ნომერი: 1068621).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 8 აპრილის 12:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემზი პოლიდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიმერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჟანა შელიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ჟანა შელია (პ/6 19001030033), ზუგდიდი ს. ჭიხაშკარი დ. აღმაშენებლის ქ. 45
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ზუგდიდი, ს. ჭიხაშკარი, ნაკვეთი 813 (საკადასტრო კოდი: 43.05.41.813)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 13590.85 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2025 წლის 26 მარტი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2025 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის #71271HZP106861025; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1068610
6. მოვალე: ჟანა შელია (პ/6 19001030033), ზუგდიდი ს. ჭიხაშკარი დ. აღმაშენებლის ქ. 45; ვეფხია შელია (პ/6 753159149), ზუგდიდი ს. ჭიხაშკარი დ. აღმაშენებლის ქ. 45
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემზი პოლიდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის მენფეციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიმერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემზი პოლიდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის #71271HZP106861025; ლოტის ნომერი: 1068610).



შთავარი არხი

ნიკა გვარამიას და კოზა ნაყოფიას დიდი გყუილი!!!



„შთავარი
არხის“
ღირეშტორის
ბიორბი
ქურდაპის
განცხადება



„შპს შინაგვლის“ 18 მარტის ეთერში პოლიტიკაში გარეშულა პიტივემენაშენა და „შთავარი არხის“ ყოფილმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა: „მთავარ არხზე არ არსებობს არანაირი დავალიანება დღეის მომენტში, არანაირი“, რადგან ეს თურმე მისი მორალური ვალდებულება ყოფილა. ნიკა გვარამიას განცხადება, რომ „მთავარ არხს“ ახლა აღარ აქვს არანაირი დავალიანება, არის დიდი ტყუილი. „მთავარ არხს“ დღეისათვის კვლავაც აქვს დავალიანებები, მათ შორის ტელეკომპანიის თანამშრომლების ხელფასები, ასევე მომსახურე კომპანიების დავალიანებები. სახელმწიფო მიუჭეტის ვალი 13 მილიონ ლარზე მეტია. რომ არაფერი ვთქვათ ომეგა ჯგუფის მილიონობით დავალიანებებზე. მთლიანობაში „მთავარი არხის“ ვალი 25 მლნ-ს აღემატება. ნიკა გვარამიამ და ყოფილმა პარლამენტარმა კოზა ნაყოფიამ, რომლებიც არაფორმალურად მართავენ „მთავარ არხს“, ორი კვირის წინ, კიდევ ერთხელ დააზარალეს „მთავარი არხი“ და მიიტაცეს „მთავარი არხის“ სარეკლამო გაყიდვების შედეგად კომპანია „ნიუ სეილსის“ ანგარიშზე აკუმულირებული 4 მილიონამდე ლარის თანხა. საჩუქრად კომპანია „ნიუ სეილსი“ ა.წ. 6 მარტს სიმბოლურ ფასად გაიყიდა ნიკა გვარამიასა და კოზა ნაყოფიას მოფიქრებული თაღლითური სქემით.

„ნიუ სეილსის“ ახალი ფიქტიური დამფუძნებელი კოზა ნაყოფიას უკრაინელი მძღოლი გახდა, ხოლო ფიქტიური დირექტორი – ნაყოფიასთვის სანდო უკრაინელი მოქალაქე. „ნიუ სეილსში“ აკუმულირებული მთავარი არხის 4 მლნ - მდე თანხის განკარგვის უფლება კი ამ ფიქტიურმა პირებმა გადასცეს ნიკა გვარამიას თანაპარტიელსა და მეგობარ ვინმე მაქსიმარაშვილს.

ნიკა გვარამია და კოზა ნაყოფია წლევის განმავლობაში ერთად ძარცვავდნენ მთავარ არხს, იტაცებდნენ სარეკლამო შემოსავლებიდან იტაცებულ მოგებას, შედეგად კი მთავარს არხს მილიონობით დავალიანებებს ადებდნენ. ნიკა გვარამიამ და კოზა ნაყოფიამ მიზანმიმართულად დააზარალეს „მთავარი არხი“, არხის მაყურებელი, თანამშრომლები, სახელმწიფო მიუჭეტი და მთავარი არხის დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი, რომლის გარეშეც „მთავარი არხი“ ვერ შეიქმნებოდა და არ იარსებებდა.

ყველა ზემოთ დასახელებულ პირს მოუწევს კანონის წინაშე პასუხის გება თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებებზე.

ბიორბი
ქურდაპი



დაკავებულია „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 7 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტისა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განცხადების საფუძველზე, იმერეთის რეგიონში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 7 პირი დააკავეს, – ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით დაკავებულია წარსულში ნასამართლევნი, 1973 წელს დაბადებული ლ.კ. (მშსსახელად „კვამია“), ხოლო „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით დაკავებული არიან: 1980 წელს დაბადებული ა.პ., 1985 წელს დაბადებული ს.პ., 1989 წელს დაბადებული ზ.ს., 1983 წელს დაბადებული ო.დ., 1985 წელს დაბადებული მ.პ. (მშსსახელად „კვამია“) და წარსულში ნასამართლევნი, 1986 წელს დაბადებული ნ.პ. (მშსსახელად „გოჭო“) ასევე, აღნიშნული დანაშაულისთვის მხილებულია საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდი“, 1976 წელს დაბადებული მ.პ. (მშსსახელად „კვამია“).

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, დადგინდა,

რომ „კანონიერი ქურდის“ ვ.კ.-ს (მეტსახელად „ვატა“) დაავლებით, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერმა ა.კ.-მ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში გახსნა შპს „ტაბახმელა 2023“-ის აგრარული ბაზარი, რომლის ანალოგიური ბაზარი – შპს „ანი“ ფუნქციონირებდა ქუთაისში და რომელსაც ვერ უწევდნენ კონკურენციას. ბრალდებულებმა საკუთარი კრიმინალური გავლენების გამოყენებით, ფინანსური სარგებლის მისაღებად, გადაწყვიტეს ქუთაისში მდებარე აგრარული ბაზრიდან, შპს „ტაბახმელა 2023“-ის აგრარულ ბაზარში გადაეყვანათ დასაქმებულები, რის შედეგად ქუთაისში განთავსებული ბაზარი ვეღარ მძღვებდა ფუნქციონირებას, ხოლო შპს „ტაბახმელა 2023“-ის აგრარული ბაზრის საქმიანობიდან მიიღებდნენ დიდი ოდენობით შემოსავალს.

ბრალდებულებმა „კანონიერი ქურდების“ სახელისა და მათი კრიმინალური გავლენების გამოყენებით, განზრახვა სისრულეში მოიყვანეს, რითაც შპს „ანი“-ს ასიათასობით ლარის ზიანი მიადგა. პოლიციამ ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე ტერცია მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

ანსაგლი
ყოველწლიურ
ინდურ-ქართული
მუსიკის
ფესტივალი –
„ქეთევანის
ფესტივალი 2025“
მონაწილეობდა

ფესტივალზე ანსაგლმა მრავალხმიანი ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები წარადგინა. გარდა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლისა, ფესტივალის პროგრამა მოიცავდა ინდოეთის ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის ანსამბლების გამოსვლებს. გოაში გამართული ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს



ანსაგლი „გურჯაანი“ ინდოეთში

ველოს კულტურის სამინისტრო, ინდოეთში საქართველოს საელჩო, ინდოეთის კულტურული ურთიერთობების სამსახური (ICCR) და გოაში საქართველოს საპატიო კონსულოს კანდიდატი აკაშ ტიმბლუ.

დონისძიებას დაესწრნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ვახტანგ ჯაფარიძე, კონსული ქეთევან ლავილიძე, საქართველოს კულტურის სა-

მინისტროს წარმომადგენელი არჩილ ჭოჭაშვილი, გოას შტატის ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, ინდოეთის კულტურის, საზოგადოების და მედიის წარმომადგენლები.



ოქსფორდის უნივერსიტეტის კათედრის კვლევის ცენტრმა, გაეროს მდგრადი განვითარების გადამწყვეტი ღონისძიების ქსელსა და საქართველოს შიდა საგარეო კვლევით ორგანიზაციას – გეოგრაფიკულ პარტნიორობით, მსოფლიო გეოგრაფიის 2025 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. კვლევის ფარგლებში, განხორციელდა მსოფლიოს 147 სახელმწიფოსა და ტერი-

ტორიაზე ცხოვრების დონის შეფასების გაუმჯობესების ისტორიული ანალიზი, ინდექსის დაარსებიდან დღემდე. ისტორიული პროგრესის დასადგენად, მკვლევარებმა საბაზისო 2005-2010 წლების მსოფლიო გამოკითხვის შედეგები მიმდინარე, 2022-2024 წლების ანალოგიურ კვლევებს შეადარეს და ისტორიული პროგრესის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო ხუთეული გამოავლინეს. შედეგები

სსოპრების დონის სანბრკლივი გაუმჯობესებით, საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია

საქართველოსთვის კეთილსამიერო აღმოჩნდა – საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია. ანგარიში გვითხვით: „ხუთივე ლიდერი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს: სერბეთი, ბულგარეთი, საქართველო, ლატვია და რუმინეთი.“ (გვ. 20) მთლიანობაში, მსოფლიო გეოგრაფიის ინდექსის ზოგად რეიტინგში საქართველო წელს 91-ე ადგილზეა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საქართველო მსოფლიოს საუკეთესო 50 ქვეყანას შორის მოხვდა ისეთ საკვანძო მნიშვნელობის ორ ფაქტორულ კრიტერიუმში, როგორცაა თავისუფლება და კორუფციის აღქმა. ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის კვლევის ცენტრის ყურადღების მიღმა არც 2012 წლის შემდგომ განცდილი პროგრესი დაუტოვებია. ამ შემთხვევაშიც საქართველო ლიდერთაგანია. 2012 წლის შემდეგ გეოგრაფიის ინდექსის გაუმჯობესების მიხედვით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მერვე პოზიციაზე გავიდა.

ვაჟა
აზარაშვილი

...რაც დარჩა საბჭოთაო

«რაც დარჩა საბჭოთაო»

კომპოზიტორ
ვაჟა
აზარაშვილის
საღამო
გაიმართება

28 მარტს, 20:00 საათზე, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში – SPARKS-ის ორგანიზებით, ქართველი მუსიკოსისა და კომპოზიტორის – ვაჟა აზარაშვილის საღამო – „რაც დარჩა საბჭოთაო“ გაიმართება. ორგანიზატორების ინფორმაციით, მონაწილეობენ: თამარ გვერდნი-თელი, ეკა მამალაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, თემურ თა-თარაშვილი, მაია ჯაბუა, აჩიკო ზერიძე, ოთო ნემსაძე, თეატრალური კვარ-ტეტი, ჯგუფი „ფორტე“. საღამოს მუსიკალურად გააფორმებს დავით მა-ზანაშვილის საქართველოს ქალთა კამერული ორკესტრი და ბენდი. პრო-ექტის სამხატვრო ხელმძღვანელია დავით მაზანაშვილი, სცენარის ავ-ტორი და საღამოს წამყვანი – ნიკოლოზ წულუკიძე

საქართველოს ტურისტულ
პოტენციალს
პარიზში გააცნენ

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საფრანგეთში, პარიზში, სამომავლო მდლია კონფერენციაში, International Media Marketplace 2025-ში მონაწილეობა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ცნობით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, საქართველოს შესახებ პრეზენტაცია გამართეს ისეთი მედიასაშუალებების ჟურნალისტებისა და რედაქტორებისთვის როგორებიცაა: Le Figaro Magazine, Geo, Lonely Planet, Itrekkings, Le Journal de la Maison, Paris Match, National Geographic France. საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები, საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს, ზაფხულისა და ზამთრის კურორტებს, სათავგადასავლო ტურისტულ მიმართულებებს გაეცნენ. კონფერენციის ფარგლებში, მედი-აკომპანიებთან შეხვედრები შედგა საქართველოში გაცნობითი ტურების გა-მართვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციას.

წლის საუკეთესო რომანის
ნომინაციაზე გამარჯვებული
მაკა
ჯოხაძე

„ისკარიოზის ექვები“ –
მწერალთა სახლში მაკა ჯოხაძის
რომანს წარადგენენ

26 მარტს, 19:00 საათზე, მწერალთა სახლში მაკა ჯოხაძის რომანის – „ისკარიოზის ექვების“ წარდგენა გაი-მართება. მწერალთა სახლის ინფორმაციით, წიგნი ლი-ტერატურული პრემია „მუზა 2024“-ის ლაურეატია წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში.

საქართველო
კრიტიკული

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სვანტაჰ ჟოხაძე
(599-36-00-35)
რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძე
(597-22-07-04)
შემოქმედებით ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.
პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ჟოხაძე
(577-77-27-17)
ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.
სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.
ოპერატორი
შორენა გვილია.
გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.
მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116
წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge
გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ამტრთა მოსაზრებებს.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ამტრთი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აწვდის სოციალური
ქსელებზე და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგზავნილ, ან უსხოური
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.
იზექტება სტამბა
„ქოლოში“
ე. ბაღდავაძის №3
„კოდორი“
ჭაფი
uac(უაკ)070.4(479.22)
C-323
2 009882 689431
რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაბიჯები თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG000000538329790
გაზეთის
მომავალი
ნომერი გამოვა
პარასკევს.
28 მარტს